F+5 № 66+

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. ქ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა:
თბილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე 2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1000 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადებები—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 294 პარასკევი, 22 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5.000 მან. № 294

დღიური

— ფაშისტებში მოხდა განხეთქილება.
— იტალიაში სისხლის მღვრელი შეტაკებები ფაშისტებსა, დ'ანუნციოს მომხრეთა და რესპუბლიკელთა შორის.
— ლოზანას კონფერენციაზე დადგა გარდამწყვეტი მომენტი.
— ჩ. ჩიჩერინმა საგულისხმო დეკლარაცია წაიკითხა ლოზანის კონფერენციაზე.
— პოლონეთში ახალ პრეზიდენტად ვოიცეხოვსკი აირჩიეს.
— უმუშევართა გამოსვლა ინგლისში.

შაბათს, 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე
ალმასკომის ბინაზე დანიშნულია
ქალაქის ალმასკომის მორიგი სხდომა

ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

(კრ. 762 3—2) მდივანი ხუნდაძე.

მენშევიკების გადასახლება

გუშინ გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ცნობა 53 მენშევიკის გადასახლების შესახებ საქართველოს საზღვრებიდან.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ფაქტის გამო ყველა ადგილობრივი კონტრ-რევოლუციონერები, საზღვარ-გარედ გახიზნული მენშევიკები და ყვითელი ინტერნაციონალის გმირები ასტეხენ განგაშს. ისინი ცრუ კლასიკური ტონით დაიწყებენ მოთქმას, რომ ქართველ ხალხს სწყვეტენ თავს, აძევებენ აქედან მის „საუკეთესო შვილებს“, „ჭეშმარიტ მამულიშვილებს“ და „რევოლუციონერებს“, როგორც ამაზე სწერდნენ თავიანთ ფურცლებში. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ზოგი გადასახლებულთაგანი ოდესღაც მართლაც მუშაობდნენ „დემოკრატიისათვის“, მაგრამ წარსული მოღვაწეობის მანდატით ახლა არც ისე ადვილია ფონს გასვლა. ერთ დროს ცნობილი სავინკოვიც და მისი ამხანაგებიც რევოლუციონერები იყვნენ, მაგრამ შემდეგ, როცა მუშათა კლასმა ხელთ იგდო ძალა უფლება, როცა ის განიცდიდა უმძიმეს წუთებს და იტანდა შინაურ და საერთაშორისო კონტრ-რევოლუციის გაფრთხილებულ იერიშებს, იგივე სავინკოვი და მისი თანამოაზრენი აღმოჩნდნენ ბარიკადების იქითა მხარეზე და პროლეტარიატის ყველაზე უბოროტესი და საშიში მტრები.

ასე მოუვიდათ ჩვენებურ მენშევიკებსაც და მათ თანამოაზრეთ.

განსაკუთრებით იმპერიალისტურმა ომმა და უფრო კი რევოლუციამ საბოლოოდ გააშიშვლა მათი რეაქციონური ბუნება, დაავიწყებია წარსული ბრძოლის ტრადიციები და გადაისროლა მუშათა კლასის მტრების ბანაკში, სადაც მათ პირველი რიგები დაიჭირეს.

რევოლუცია, რომელმაც მათ, მთელ რიგ ისტორიულ გარემოებათა წყალობით, ჩვენში ძალა უფლება არგუნა, მენშევიკებმა გამოიყენეს ამ რევოლუციის ჩასახშობად, აჯანყებულ მუშების და გლეხების ასალაგმავად. ამასთან ყველას ახსოვს ის საშინელი დევნა, რომელსაც განიცდიდა მაშინ პროლეტარიატის პარტია, ბოლშევიკების პარტია. ჩვენ საუკეთესო ამხანაგებს ციხეებში ალპობდნენ ან აძევებდნენ რესპუბლიკიდან. მაგრამ არავის ახსოვს, რომ ვინმე მაშინდელი მმართველი პარტიიდან გამოსულიყო ჩვენ დასაცავად. პირიქით, ისინი და მთელი მეშჩანური ბრბო მოითხოვდნენ რეპრესიების უფრო გაძლიერებას ჩვენს წინააღმდეგ და ეს გასაგები იყო ამას უკარნახებდა მათ თავისი კლასიური გრძნობა და ინტერესი.

ისტორიამ ინება და როლები შეიცვალა, ჯერი მათზე მიდგა. მაგრამ აქვე უნდა განვაცხადოთ საჯაროდ, რომ ჩვენი მხრით ეს სრულებით არ არის შურისძიების აქტი. შურისძიება არ ჩვევია გამარჯვებულ პროლეტარიატს, ეს დაბალი გრძნობა ყოველთვის შეადგენდა ბურჟუაზიის და მისი თანამგზავრების გახრწნილ თვისებას.

ჩვენი ნაბიჯი ნაკარნახევია მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციის მონაპოვართა დაცვის ინტერესებით. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ეს არა ერთხელ დაამტკიცა თვალსაჩინოდ. პირველი ჩვენი აქტი საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ იყო პოლიტიკური ამნისტია. მაგრამ მენშევიკებმა და სხვა შინაურმა ჯგუფებმა აღარ მოისურვეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებასთან შერიგება, მათ უსაზღვროთ იწყეს ბოროტმოქმედება ახალი ხელისუფლების მათდამი ლმობიერი პოლიტიკით და გაჩაღეს დაუნდობელი ბრძოლა მუშათა კლასის ძალაუფლების დასამხობად. მენშევიკების მუშაობა საბჭოთა რეჟიმის გამოცხადების მომენტიდან ის განუწყვეტელი ბრძოლაა ამ რეჟიმის წინააღმდეგ. ისინი აღმოჩნდნენ სავსებით გამოუსწორებელნი.

და მშრომელთა ხელისუფლებას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არ მათი აშკარა ამაფეთქებელ მოქმედებისათვის საზღვრის დადება, თუ არ მათი ალაგმვა.

საბჭოთა მიწა წყალზე შეიძლება ადგილი ჰქონდეთ მშრომელთა ძალაუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ ელემენტებს, ან ყოველ შემთხვევაში იმათ, რომელნიც არ აწყობენ კონტრ-რევოლუციონურ ძალების აშკარა აჯანყებას.

მენშევიკებს კი დღემდე არ დაუყრიათ იარაღი, ისინი ძველებურად განაგრძობენ ჩვენი ცხოვრების არევდარევას, საბჭოთა აღმშენებლობის ნგრევას და მზადებას არა ერთხელ დამარცხებულ შეიარაღებულ აჯანყებისათვის. ამას ბოლო უნდა მოეღოს პროლეტარიატის რკინის ხელით. მენშევიკების ხელმძღვანელებს არ სურთ საბჭოთა პირობებში ცხოვრება, კეთილ ინებონ და მოსცილდნენ აქაურობას. ამას ისინი ნებაყოფლობით არ სჩადიან, და საბჭოთა ხელისუფლება ვალდებულია მოაშოროს მშრომელ ხალხს ის პირები, რომელნიც აქ წყალს ამღვრევენ და ძირს უთხრიან რევოლუციის განმტკიცებას. ამას კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს რევოლუციონური მუშათა კლასი, და საბჭოთა მთავრობა მის ნების ყოფას ახორციელებს. ამას დაჟინებით მოითხოვს რევოლუციის სასიცოცხლო ინტერესი, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების აუცილებლობა. მუშურ-გლეხური მთავრობა ქმნის შინაურ პირობებს მშრომელ მასსების მშვიდობიანი არსებობისათვის და რევოლუციის უზრუნველყოფისათვის.

პრესა

უცხოელების აზრი საბჭოთა რუსეთზე.

საბჭოთა ფედერაციის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება ურყევი ფაქტია და მის უარყოფას ბევრი ვეღარავინ ბედავს დღეს. თვით იმ ქვეყნებშიაც, რომელნიც აშკარა მტრულ განწყობილებაში იყვნენ ამ ფედერაციის მიმართ, ისმის დღეს მიუდგომელი ხმა ამ აზრით. ბერლინის გაზეთ „ნაკანუნე“ მოჰყავს ამერიკული პრესიდან ცნობილი ამერიკელი იურისტის, ფრანკ ვილმის აზრი, რომელიც ესტუმრა რუსეთს მისი კანონმდებლობის შესწავლის მიზნით. თავის დაბრუნების შემდეგ ნიუ-იორკში მან გააკეთა მოხსენება რუსეთის მდგომარეობის შესახებ:

„რუსეთის მთავრობა—სთქვა ლექტორმა—არის ყველაზე უფრო ძლიერი ევროპაში. რუსეთის კანონები მარტივია და ყველასათვის გასაგები. რუსეთის სასამართლო არის ჭეშმარიტად ხალხური, სადაც უფრო ადვილათ ირკვევა სიმართლე ვინემ სხვა ქვეყნებში. მუშათა მდგომარეობა რუსეთში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მუშები უკეთესათ არიან ტანისამოსით, ვინემ როდესმე და ცხოვრობენ უკეთეს ბინებში, ვინემ წინეთ. შრომის ნაყოფიერება მრეწველობის სხვა და სხვა დარგებში მატულობს. რუსეთი საერთოთ უკეთესათ ცხოვრობს, ვინემ გერმანია. რუსეთი თავისუფალია და დამოუკიდებელი მოკავშირეებისაგან“.

როგორც იურისტს, სპეციალურათ მას აინტერესებდა სასამართლოების პროცესუალური მხარე, რომელიც შეისწავლა საფუძვლიანათ. ამ საკითხის შესახებ ვილმმა განაცხადა:

„სასამართლოს წარმოება მარტივია და ნათელი ყველა მოქალაქისათვის. რუსეთის მსაჯულები არ არიან იურისტები, ამიტომ მართლმსაჯულებაც თავისუფალია იურიდიულ ოინებისაგან, რაც ასე ახასიათებს სხვა ქვეყნებს“.

ასეთია მიუდგომელი აზრი უცხოელის. ეს აზრი დაიპყრობს ახლო მომავალში ყველა ობიექტიურ მეთვალყურეს, წინააღმდეგ ძალთა დაბრმავებულებისა და ყურებ [illegible]ბისა.

* * *

თეთრგვარდიელთა ემიგრაციის დაშლა.

ეს ფაქტი არავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას. მას ძველი თავისი ისტორია აქვს, თუმცა მოკლე შედარებით, მაგრამ დიდი მნიშვნელოვანი და საგულისხმიერო. პრაგის გაზეთი „რუდე პრავო“ სწერს ამ საკითხის შესახებ შემდეგს:

„საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური და ეკონომიური კონსოლიდაცია იწვევს ღრმა გადაჯგუფებას მთელი რუსულ საზოგადოებაში. რევოლუციის წინა დროის პარტიები ჰქრებიან და შემორჩენ მხოლოდ საზღვარგარეთ. თვით რუსეთში მათი კვალიც აღარ დარჩა. ესერებმა და სოც.-დემოკრატიულმა პარტიებმა დაჰკარგეს თავისი ჯარი და სხვა და სხვა ცენტრალური კომიტეტები, რომლებიც საზღვარ-გარეთ მუშაობენ, აღარ წარმოადგენენ რეალურ ძალას. ემიგრაციაშიაც შეიჭრა შეგნება იმ საძაგელი როლის შესახებ, რომელსაც თამაშობენ უცხოეთის რუსული ემიგრანტების ორგანიზაციები რუსეთში მომხდარ იმ ღრმა ცვლილებისადმი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რევოლუციის შემდეგ. ეს ბადებს უთანხმოებას საბჭოთა რუსეთის მტრებში, რომელთა ნაწილი სცილდება პომეშჩიკებისა და მეფის გენერლების ბანაკს. ყველა ისინი, ვინც მოსურნენი არიან იმუშაონ რუსეთის აღდგენისა და განვითარებისათვის, სცილდებიან კონტრ-რევოლუციის ბანაკს, რწმუნდებიან რა, რომ სხვა რუსეთი გარდა თანამედროვე რუსეთისა არ არსებობს.

ახალი ზემოთქმულში, რასაკვირველია, არაფერია, აღსანიშნავია მხოლოდ ის გარდატეხა, რომელიც ედება თანდათან უცხოეთის „საზოგადოებრივი აზრის“ დიდ ორგანოებს.

რადიო-დეპეშები

ლოზანის კონფერენცია

ჩიჩერინის განცხადება



ამხ. ჩიჩერინი.

ნაუენი, 21 დეკემბერი. პირველი კომისიის სხდომაზე ჩ. ჩიჩერინმა განაცხადა, რომ მოკავშირეებს განზრახული აქვთ შექმნან სრუტეებში დასაყრდენი ადგილი საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ არც ერთი წინადადება მოკავშირეების მიერ წარმოდგენილი არ არის მისაღები, ვინაიდან სრუტეები გადაეცემა ერთა ლიგას, რომელშიაც არ შედიან არც რუსეთი, არც უკრაინა, არც საქართველო, არც ამერიკა, არც გერმანია და არც მთელი რიგი სხვა სახელმწიფოებისა,—და ერთა ლიგა სინამდვილეში არის მხოლოდ რამოდენიმე სახელმწიფოს ლიგა.

რომი, 21 დეკემბერი. ლოზანაში სრუტეების საკითხის განხილვის დროს, ჩიჩერინმა ენერგიულად გააკრიტიკა მოკავშირეების პროექტი და აღნიშნა, რომ ის მიმართულია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ახალი კონფლიქტების გამოწვევისაკენ ჩიჩერინმა გარანტიებს, რომელთაც მოკავშირეები აძლევენ ოსმალეთს, უწოდა ილუზია. ჩიჩერინმა თავისი სიტყვა დაამთავრა მით, რომ რუსეთის იზოლაცია შეუძლებელია, იმიტომ რომ მას ჰყავს ყველა სახელმწიფოებში მოკავშირეები სახელდობრ ისინი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ დიდ ხარჯებს შეიარაღებისათვის.

ოსმალეთი.

ბორდო. 21 დეკ. ოთხშაბათს ოსმალეთის დელეგატები დაკმაყოფილდნენ მით, რომ უარი სთქვეს უმცირესობათა საკითხის შესახებ მოკავშირეების ტექსტის მიღებაზე.

გადამწყვეტი მომენტი.

ლონდონი. 21 დეკემბ. გუშინ საღამოს 4 ნახევ. საათზე გაიხსნა პირველი კომისიის სხდომა. ამ სხდომაზე, ლორდ კერზონის განცხადების თანახმად, ოსმალეთის დელეგაციას უნდა მიეცეს საბოლოო პასუხი მოკავშირეების წინადადებაზე სრუტეების შესახებ.

საღამოს სხდომა.

ლონდონი. 21 დეკ. კორესპონდენტების ცნობით, გუშინ დილით ბარერმა და გარონმა, რომელთაც ღამით მოლაპარაკება ჰქონდათ ისმეტ-ფაშასთან, თათბირი გამართეს კერზონთან და ინგლისის სამხედრო ექსპერტებთან. გუშინდელი სხდომის შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული. „ნიუ [illegible]“-ის ცნობით, ლორდ კერზონმა ამ სხდომის შემდეგ განაცხადა, რომ ყველაფერი დამთავრდა ისე, როგორც საჭირო იყო და ოსმალებიც ცდილობენ შეთანხმების მიღწევას. შესდგა აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სხდომა. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ოსმალები დათანხმდნენ იმაზე, რომ ეროვნული უმცირესობანი თავისუფალნი უნდა დარჩნენ, მაგრამ დაბრკოლება გამოიწვია სიტყვა „რასა“-ს გაგებამ. კაპიტულაციების ქვეკომისიის სხდომაზე ვერავითარი შედეგი ვერ იქნა მიღწეული ოსმალების მტკიცე პოზიციის გამო და საკითხი განხილულ იქნება კონფერენციის პლენუმის მიერ.

საკითხი ვალების შესახებ

ლიონი. 21 დეკემბ. ჩასთვალეს რა მუშაობა დამთავრებულად, ინგლისის და საფრანგეთის ექსპერტებმა დასტოვეს ლოზანა. საკითხში ოტტომანის ვალის ყოფილ ოტტომანის იმპერიის სხვა და სხვა ნაწილებს შორის განაწილების შესახებ მიღწეულია სრული შეთანხმება.

კერზონის სიტყვა.

ლონდონი. 21 დეკემბ. ოთხშაბათს სხდომაზე ლორდ კერზონი საბოლოო სიტყვაში ლაპარაკობდა ოსმალეთისადმი წარდგენილ მოკავშირეთა გარანტიებზე. მან აღნიშნა, რომ ოსმალეთს, რომელიც შევა ერთა ლიგაში, მიეცემა გარანტია მე 10-ე მუხლის ძალით და მის დამატებათ მოკავშირეებმა წარადგინეს სპეციალური დებულება, ისეთივე, როგორიც შემოღებულია ალანდის კუნძულების [illegible] გამაგრებისათვის და ამ დამატებითი დებულებებში ოსმალეთს აქვს აგრეთვე განსაზღვრული გარანტიები. კერზონმა სთქვა: „ოსმალეთის უშიშროებისათვის ჩვენ შევქმენით ახალი პირობები, დავაწესეთ რა სადემილიტარიზაციო ზომები, რომელნიც წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალებს თავისი ძალებით უნდა დაეცვათ და უნდა ვსთქვათ, რომ ქვეყანაზე არ არის მეორე სახელმწიფო, რომელიც ეგრე დაცული იყოს გარანტიებით და თავდაცვის საშუალებებით, როგორც ოსმალეთი. თუ ის გარანტიები ოსმალეთს არ მოსწონს, მოკავშირეები მათ უკან წაიღებენ, მაგრამ სხვა, უფრო დიდი გარანტიების მიცემა მისთვის ჩვენ არ შეგვიძლია“. შემდეგ კერზონმა სთქვა, რომ სრუტეების თავისუფლება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც საფრთხე კონსტანტინოპოლისათვის, არამედ, წინააღმდეგ. „ჩვენ გავაკეთეთ ყველ ფერი, სთქვა მან, რაც შესაძლებელი იყო ჩვენთვის, რათა უზრუნველ გვეყო სატახტო ქალაქი ოსმალეთის სუვერენული უფლებები და ვცდილობდით შეუძლებლად გაგვეხადა სრუტეებში სამხედრო გემების გავლა, როგორც კონსტანტინოპოლის მთავრობაზე ზეგავლენის საშუალება.

რუმინიის, სამხრეთ-სლავიის, საბერძნეთის და ბოლგარიის დელეგაციები შეუერთდნენ მოკავშირეების წინადადებებს.

მოსკოვი, 21 დეკემბ. ლოზანიდან მიღებულ ცნობების მიხედვით კონფერენციის პირველი კომისია უკვე შეუდგა სრუტეების შესახებ საკითხის განხილვას.

18 დეკემბერს კერზონს ჰქონდა კერძო თათბირი ჩიჩერინთან.

ინგლისის პრესა ფიქრობს, რომ ოსმალები მოსულის საკითხის შესახებ ბოლოს და ბოლოს წავლენ დათმობაზე მოკავშირეების [illegible] და ინგლისის მიერ ოსმალეთისადმი სესხის მიცემის ხვეწის გამო.

სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ანგორას მთავრობა უკმაყოფილოა კონფერენციის მუშაობის გაჭიანურებით.

სრუტეების საკითხის განსახილველ კომისიის სხდომაზე მოწვეული იქნა ოსმალეთის დელეგაციის შენიშვნები მოკავშირეთა პროექტში მომხდარ ცვლილებების შესახებ. პროექტის მეორე მუხლი გულისხმობს სრუტეებში მშვიდობიან დროს სამხედრო გემების სრულ თავისუფალ მიმოსვლას, იმ პირობით, რომ თვითეული სახელმწიფოს სამხედრო ფლოტის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს (და [illegible]) სახელმწიფო ფლოტის სიდიდეს. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ყოველ წლობით შეატყობინონ სრუტეების საერთაშორისო კომისიას სრუტეებში მყოფ ფლოტის ნამდვილი რაოდენობა. ომიანობის ხანაში, ოსმალეთს, თუ კი ის ნეიტრალიტეტს დაიცავს, რჩება უფლება სრუტეებში თავისუფალი მისვლა მოსვლისა.

ოსმალეთის დელეგაციის სრუტეების შესახებ კონტრ-წინადადებით გამოსვლის შემდეგ გამოდის რუსეთის დელეგაცია.

სრუტეების კომისიაში.

ბორდო, 20 დეკ. ორშაბათს სრუტეების კომისიის სხდომაზე ლორდ კერზონმა გამოაქვეყნა მოკავშირეების საბოლოო გეგმა, რომელშიაც მტკიცედ განსაზღვრულია სრუტეების საერთაშორისო კომისიის უფლება-მოვალეობანი. გეგმით, კომისიას ევალება ადმინისტრაციასთან ერთად გემების და სრუტეების თავისუფლების ყველა დებულებათა შესრულებისათვის ზედამხედველობა და აგრეთვე სპეციალურ ზომების გატარება სრუტეების განიარაღებისათვის. ბარერმა აღნიშნა, რომ მოკავშირეთა გეგმის პრინციპები გულისხმობენ კომერციულ გავლა გამოვლის სრულ თავისუფლებას და არ შეიცავენ არავითარ მუქარას ომიანობის დროს, არამედ აწესებენ თანასწორობას... ([illegible]) ბარერი აგრეთვე ამტკიცებდა, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ოსმალეთისათვის სრუტეებში რეჟიმის ხელმძღვანელობის გადაცემა ერთა ლიგის ხელში.

ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი ლოზანის კონფერენციის შესახებ

პრესა

ანგორა, 16 დეკ. (დეპეშით). „ინი გუნი“ მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ ლოზანის კონფერენცია ნელი ტემპით მუშაობს და მას ჯერ არც ერთი საერთაშორისო საკითხი არ გადაუწყვეტია. გაზეთი მოითხოვს ოსმალეთისათვის დასავლეთ ფრაკიის გადაცემას იმ მოსაზრებით, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ოსმალები შეადგენენ და კიდევ იმიტომ, რომ დასავლეთ ფრაკიის გადაცემა იქნება აღმოსავლეთ ფრაკიის და სტამბოლის დაცვის უზრუნველყოფის გარანტია. დასასრულ წერილში ნათქვამია, რომ ოსმალეთი არასოდეს არ დათანხმდება ისეთ ზავზე, რომელიც არ უზრუნველყოფს სტამბოლის და ფრაკიის დაცვას.

ანგორა 18 დეკ. (დეპეშით). ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების 16 დეკემბრის სხდომაზე გარეშე საქმეთა კომისარმა რაუფ ბეიმ გააკეთა მოხსენება ლოზანის კონფერენციის მდგომარეობის შესახებ. რაუფ ბეიმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონფერენციამ 25 დღის მუშაობის განმავლობაში ვერ მიაღწია გარკვეულ შედეგებს. საკითხები კაპიტულაციის და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ გადაუწყვეტელი დარჩენ; რაც შეეხება ვალების საკითხს კონფერენცია მივიდა მხოლოდ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ვალების განაწილება ოტომანის იმპერიის ყოფილ ყველა ნაწილებს შორის. რაუფ-ბეი ამბობს, რომ ანგორის მთავრობა არ არის ისეთი მთავრობა, რომელიც გამოყოფილია ოსმალეთისაგან და რომელიც იმყოფება მანდატის ქვეშ. სრუტეების საკითხში რაუფ ბეიმ აღნიშნა ის სხვა და სხვა თვალსაზრისი რომელნიც გამოსთქვა კონფერენციაზე როდესაც რაუფ ბეი შეეხო რუსეთის თვალსაზრისს, ადგილებიდან მოისმოდა დეპუტატების ხმები: „უწორესი შეხედულებაა. გაუმარჯოს რუსეთს“ ანგორის მთავრობის თვალსაზრისს რაუფ-ბეი არ შეხებია დაწვრილებით მხოლოდ რამოდენიმე ჯერ გაიხსენა „ეროვნული აღთქმა“, რომელიც მოითხოვს სტამბოლის და მარმარილოს ზღვის დაცვის უზრუნველყოფას. შემდეგ რაუფ-ბეი შეეხო ზოგიერთ სახელმწიფოების პროვოკაციულ ცდას ჩაშალონ ზავის საქმე და როგორც მაგალითი მოიყვანა ინგლისის რაზმის გადიდება ჩანაკ-კალეში. ამ ცნობამ მეჯლისში საშინელი აღშფოთება გამოიწვია რაუფ-ბეიმ რამოდენიმეჯერ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სტამბოლში არა ნორმალური მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს.

შემდეგ, ის ისევ ეროვნულ უმცირესობათა საკითხს დაუბრუნდა და შეეხო რა სომხების მოთხოვნილებას, სთქვა, რომ ოსმალეთი იცნობს მხოლოდ ერთ სომხეთს, რომელთან ის კეთილ მეზობლურ განწყობილებაშია და დადებული აქვს სათანადო ხელშეკრულება. რაუფ ბეიმ აცნობა მეჯლისს, რომ ქვე-კომისიებში მიღწეულია შეთანხმება ფოსტა-ტელეგრაფის, რკინის გზის და სავიზო უფლების საკითხის შესახებ შემდეგ რაუფ-ბეი ამბობს: მდგომარეობა რთულია, საკითხები არევ-დარეულია და ამიტომ შეუძლებელია დაბოლოებით ითქვას რამე კონფერენციის შედეგების შესახებ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქმე ზავით გათავდება, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის არმია მზად არის შეასრულოს ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების ბრძანება“. დეპუტატები შეეკითხნენ რაუფ-ბეის მოსულის პრობლემის, სტამბოლში საბერძნეთის ელჩის [illegible] და სომხეთის პატრიარქის ლოზანაში გამგზავრების შესახებ. პირველი კითხვა დატოვებულ იქნა უპასუხოდ, მეორე კითხვაზე რაუფ ბეიმ უპასუხა, რომ რეფეთ ფაშას ევალება ზომების მიღება და რომ მას პატრიარქის გამგზავრების შესახებ არ მოეპოვება ოფიციალური ცნობა. დასასრულ რაუფ ბეი აცნობებს კრებას, რომ ქემალ-ფაშამ მოკავშირეთა გენერლებისაგან მიიღო დეპეშა, სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ შეუძლებელია მდგომარეობის შეცვლა სტამბოლში. ამ დეპეშაზე ქემალ ფაშას პასუხი არ გაუცია.

პოლონეთის ამბები

პრეზიდენტის არჩევა.

პარიზი. 21 დეკემბ. პოლონეთის სეიმმა პოლონეთის პრეზიდენტად აირჩია ვოიცეხოვსკი. საღამოს ახალმა პრეზიდენტმა მიიღო ფიცი.

მოსკოვი 21 დეკემბ. პარიზიდან იტყობინებიან: დატუსაღებულია ახალი [illegible] სახალხო დემოკრატიულ პარტიის მრავალი წევრი.

— „რაბოტნიკი“ სწერს: „მთავრობა მტკიცეთ უნდა გამოვიდეს რეაქციის წინააღმდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლონეთს კატასტროფა მოელის.“

მიიღეს რა ცნობა ნარუტოვიჩის მოკვლის შესახებ კრაკოვის მუშებმა მოაწყვეს მიტინგი, რომელსაც დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი. მიტინგზე გამოვიდა სეიმის დეპუტატი პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი ბარბოვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ პილსუდსკი დანიშნულია სამხედრო დიქტატორად და რომ ის დაიცავს კონსტიტუციას. ორატორმა ურჩია მუშებს მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. მაგრამ მუშებმა ყური არ ათხოვეს ამ რჩევას და გაემართნენ პროფკავშირების საბჭოს შენობისკენ მათ თავს დაესხა პოლიციელთა რაზმი იარაღით ხელში შეტაკების დროს დაიჭრა 5 კაცი, მათ შორის ერთი ქალი.

მოსკოვი. 21 დეკემბ. პოლონეთის ახალმა მთავრობამ მოწოდებით მიმართა ხალხს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ დღევანდელი მომენტი პოლონეთისათვის წარმოადგენს ყველაზე უფრო [illegible] მომენტს, რომელსაც კი ჰქონდა ადგილი უკანასკნელ წლებში. მოწოდებაში, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სდგას ქაოსის საფრთხის წინაშე და მოუწოდებს მოქალაქეებს, მხარი დაუჭირონ მთავრობას.

ბორდო 21 დეკემბ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პოლონეთის სეიმის პარტიის ლიდერები ენერგიულ ზომებს ხმარობენ იმისათვის, რათა მიაღწიონ შეთანხმებას პრეზიდენტის ადგილზე კანდიდატურის შესახებ. ასახელებენ ეხლანდელ პრემიერს გენ. სიკორსკის, ყოფილ მინისტრს ვოიცეხოვსკის და ყოფილ პრემიერს ვიტოსს. (სეიმის ზომიერ სახალხო პარტიის ლიდერს). სეიმის თავმჯდომარე რატაიმ უარი სთქვა თავის კანდიდატურის წამოყენებაზე.

უმუშევრები ინგლისში

მოსკოვი, 21 დეკემბ. ლონდონიდან იტყობინებიან: უმუშევრებმა, რომელნიც შეკრებილი იყვნენ ტრაფალგარის სკვერში, გაიგეს რა, რომ მეფემ უარი განაცხადა მათი წარმომადგენლების მიღებაზე ერთხმად შესძახეს: „გაუმარჯოს ბრიტანიის სოციალისტურ რესპუბლიკას“.

ლენსბერიმ ამის გამო განაცხადა: „ხელისუფლება თავისი პოლიტიკით ართმევს მუშათა ლიდერებს კონსტიტუციის დაცვის საშუალებას“.

მდგომარეობა იტალიაში

განხეთქილება ფაშისტებში.

მოსკოვი. 21 დეკემბ. რომიდან იტყობინებიან: ფაშისტურ პარტიაში თავი იჩინა სერიოზულმა განხეთქილებამ, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო რომში, გენუაში და ლომბარდიაში. ბევრ ფაშისტურ სექციებში აზრთა სხვადასხვაობამ გამოიწვია შეტაკებები ფაშისტურ ჯგუფებს შორის. მილანში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება ფაშისტებსა და დ'ანუნციოს ლეგიონერებს შორის. დაიჭრა 8 კაცი. ფლორენციაში ფაშისტებსა და რესპუბლიკელებს შორის მომხდარ შეიარაღებულ შეტაკების დროს დაიჭრა 30 კაცი. ფაშისტების [illegible] იმუშავებს ბრძოლის საშუალებებს იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან მთავრობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარებას.

გერმანიის ამბები

სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

რომი. 21 დეკემბერი. ლუდვიგსჰაფენში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებანი გაფიცულებსა და შტრეიკბრეხერებს შორის. არის მრავალი დაჭრილი და მოკლული.

გერმანიის კომპარტიაში

მოსკოვი 21 დეკემბერი. გერმანიის კომპარტიის პარტეიტაგი შესდგება ლეიპციგში 28 იანვარს.

გერმანიის მუშებს შორის.

მოსკოვი. 21 დეკემბერი. ლუდვიგსჰაფენში პროფესიონალური მოძრაობის მეთაურებმა დათანხმდნენ მეწარმეებლთა მიერ წარმოდგენილ კაპიტულაციის მძიმე პირობებზე. დაკმაყოფილებული იქნა მოთხოვნილება გაფიცვის მონაწილე მუშების სამუშაოზე არ დაშვების შესახებ. მთელ პფალცში გაკრულია პროფკავშირთა მეთაურების მიერ ხელმოწერილი პლაკატები რომლებიც მოუწოდებენ მუშებს მიიღონ მეწარმეების წინადადებანი. მუშებს განზრახვა აქვთ უარყონ მეთაურების რჩევა და განაგრძონ ბრძოლა.

სარეპარაციო კომისიაში.

მოსკოვი. 21 დეკემბ. სარეპარაციო კომისიაში გერმანიამ შეიტანა 60 მილ. ოქროს მარკა.

სესხი გერმანიას.

მოსკოვი. 21 დეკემბ. რადგან უკანასკნელ დროს გავრცელდა ხმები, რომ ამერიკას განზრახული აქვს გერმანიისათვის სესხის მიცემა, მარკის კურსი ძლიერ აიწია ერთი კვირის განმავლობაში. ბერლინის ბირჟაზე დოლარის ფასი 8—9000 მარკიდან დაიწია 6000 მარკამდე.

სესხი გერმანიას.

მოსკოვი. 21 დეკემბერი. ხმები თითქოს ამერიკას სურდეს მისცეს გერმანიას მსხვილი სესხი, არ მართლდება. ამერიკის სენატორების ნაწილი მკაცრად ილაშქრებს სესხის მიცემის წინააღმდეგ.

სხვადასხვა ამბები

ტიურინგიაში.

მოსკოვი. 2 დეკემბ. ტიურინგიის ხის საწარმოებთა დამამზადებელი ქარხნების მეპატრონეებმა გამოაცხადეს ლოკაუტი.

ფაშისტები უნგრეთში.

მოსკოვი. 21 დეკემბ. ბუდაპეშტში შესდგა უნგრეთის ფაშისტური პარტიის „[illegible]“ დამფუძნებელი კრება უნგრეთის მთავრობის ორგანო სწერს, რომ მთავრობამ უნდა მიბაძოს მუსოლინის და დაითხოვოს პარლამენტი.

სიძვირე ვენაში.

ციურიხის გაზ. „ნოიე ციურხერ ცაიტუნგ“-ის ვენის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ვენაში ცხოვრების გაძვირება შეუდარებელი სიწრაფით იზრდება. მაგალითად 24 საათის განმავლობაში ძროხის ხორცის ფასმა 24 000 კრონიდან აიწია 34 000 კრონამდე; ღორის ხორცის ფასი 30,000 კრონიდან 45 000 კრონამდე; ერთი კილო შაქარი ღირს 18 000 კრ., ერთი კვერცხი – 8 0 კრ. უმუშევარნი მთავრობისაგან ითხოვენ დახმარებას, რომელიც ერთი კილო პურის საყიდლად არ ყოფნის. უმუშევრობა სწრაფად იზრდება, ვინაიდან მრეწველობა ნახშირის და ნედლეულობის უქონლობას განიცდის და მას არ მოეპოვება საშუალებები ნედლეულობის მარაგის აღსადგენად

იტალიის პროფკავშირებში.

მოსკოვი. 21 დეკ. იტალიის მთავრობა ცდილობს გააერთიანოს იტალიის ყველა პროფკავშირები ერთ საერთო კავშირში ამ მიზნით მუსოლინს თათბირი ქონდა სოციალდემოკრატ დეპუტატებთან, რომელთაც თავის მხრივ მოლაპარაკება გამართეს ფაშისტურ პროფორგანიზაციების მდივანთან როსინთან განზრახულია საერთო კონფერენციის მოწვევა საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

ბრძოლა ნავთისათვის.

მოსკოვი 21 დეკემბ. ბრძოლა მექსიკის ნავთისათვის ღებულობს თანდათანობით უფრო მწვავე ფორმებს. მექსიკის მთავრობა იბრძვის მექსიკის ნავთიანი ადგილების ამერიკის ტრესტების მიერ ხელში ჩაგდების წინააღმდეგ ამერიკის ნავთის მფლობელები მექსიკაში აწყობენ რეაქციონურ გამოსვლებს, რომლებიც ღებულობენ ფაშისტურ ხასიათს. დაარსებულია ფაშისტური კავშირი.

იაპონია და რუსეთი.

მოსკოვი, 21 დეკ. გაზეთი „ნიცი-ნიჩი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სანამ იაპონელებს ჰყავთ სახალინი, მანამდე არ შეიძლება სავაჭრო დამოკიდებულობის აღდგენა რუსეთთან.

საფრანგეთის კომპარტიაში.

მოსკოვი, 21 დეკ. კომინტერნის მეოთხე კონგრესის დადგენილების თანახმად საფრანგეთის კომპარტიამ წინადადება მისცა თავის წევრებს, რათა ახალ წლამდე გამოვიდნენ მასონის ყველა ორგანიზაციებიდან და აგრეთვე „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დაცვის ლიგიდან.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კამჩატკაზე.

მოსკოვი. 21 დეკ. კამჩატკიდან მიღებულ ცნობებით, ადგილობრივი მცხოვრებლები ანადგურებენ თეთრების ბანდებს.

კომუნისტური უნივერსიტეტი.

მოსკოვი. 21 დეკ. სარატოვში მოხდა საოლქო კომუნისტური უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა. მიღებულია 130 სტუდენტი, მათ შორის 118 კომუნისტია.

ბრძოლა მექრთამეობასთან.

მოსკოვი. 21 დეკ. 10—15 დეკემბრამდე 49 გუბერნიაში და 11 ოლქში აღძრულია მექრთამეობაში შემჩნეულთა 958 საქმე სახალხო სასამართლოებში და 331 საქმე რევტრიბუნალებში; გასამართლებულია 588 კაცი, მათ შორის 23-ს დახვრეტა აქვთ მისჯილი.

მსხვილ მრეწველთა თათბირზე

მოსკოვი. 21 დეკ. მსხვილ მრეწველთა და ტრანსპორტის წარმომადგენელთა თათბირზე ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილემ ვლადიმიროვმა აღნიშნა, რომ ფინანსთა სახ. კომისარიატს შეაქვს საბჭოთა ყრილობაზე პროექტი ემისიის შემცირების შესახებ, კერძო და სახელმწიფოებრივ წარმოებაში გადასახადების გადიდების საშუალებით. გადასახადების გადიდების საშუალებით ფინანსთა სახ. კომისარიატი მოახდენს ემისიის საგრძნობ შემცირებას, მიმდინარე წლის მეოთხედის ხარჯების მხოლოდ 45 პროც. იყო დაფარული ემისიებით; მომავალ მეოთხედში ემისია დაფარავს მხოლოდ 15 პროც.-ს აქციზი, რომელსაც მეურნეები იხდიან, შეადგენს გადასახადის 50 პროცენტს, მრეწველობა იხდის სულ 10—15 პროცენტს მრეწველობამ უნდა გააიაფოს პროდუქტი; ღირებულება უნაყოფო ხარჯების შემცირებით.

საბოლოო სიტყვაში ლარინი დაჟინებით მოითხოვს მრეწველობის მიმართ გადასახადების შემცირებას.

თათბირი იღებს ლარინის მოხსენების ძირითად დებულებებს და ანდობს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რათა უკანასკნელმა მოითხოვოს საბჭოთა ყრილობაზე მრეწველობის წარმომადგენლისათვის სიტყვის მიცემა ფინანსიურ პოლიტიკის საკითხის შესახებ.

სახელმწიფო ბანკის მოქმედება.

მოსკოვი. 21 დეკემბერი სახელმწიფო ბანკის განყოფილებების და კანტორების მართველთა ყრილობაზე, სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარემ შეიმანმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბანკი მაგრდება და შეუძლია იმუშაოს საკომისიო და მიღებულ პროცენტების ანგარიშზე. წლიური მუშაობის გამოცდილება და სტაბილობით მოწყობილი აპარატი მისცემს ბანკს საშუალებას დახმარება გაუწიოს ვაჭრობა მრეწველობას ოქროთი რისი ატანაც მას წარსულში არ შეეძლო.

შაქრის ქარხნები.

მოსკოვი. 21 დეკემბერი. უკრაინის შაქრის ქარხნებმა 3 პირველ დეკემბრამდე დაამზადეს 4 ნახ. მილიონ ფუთზე მეტი შაქარი. ქარხნების მიერ 100 პროც. დავალების შესრულება უზრუნველყოფილია.

პატიმრების გაცვლა.

მოსკოვი. 21 დეკ. რიგიდან რუსეთში გამოგზავნა ეშელონით 90 კომუნისტი ლატვიის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, რომლითაც უნდა მოხდეს პატიმრების გაცვლა. გასაცვლელ პატიმრების შორის არიან დამფუძნებელი კრების წევრები [illegible], დერმანი ცოლით და რუსეთის მოქალაქე კლიაცკი—კლიაცკინი, რომელთაც მისჯილი აქვთ სიკვდილით დასჯა. ცენტრალური ციხიდან შეკრიბნენ [illegible] პატიმრებს.

მრეწველობა უკრაინაში.

მოსკოვი. 21 დეკემბერი. [illegible] წელში უკრაინის მრეწველობა უზრუნველყოფს უკრაინის მოთხოვნილებას სასოფლო სამეურნეო ინვენტარის 70 პროც.-ით.

წითელი [illegible]ის ხუთი წლის თავის გამო.

მოსკოვი. 21 დეკემბერი. წითელი არმიის მომავალ ხუთი წლის თავის დღესასწაულისათვის განზრახულია ადგილობრივ საბჭოების საზეიმო სხდომების მოწყობა ინვალიდების, მობილიზაციით დაწვეულების, წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებულების და 1922 წლის ჯარში გასაწვევთა მონაწილეობით. შეფები ღებულობენ ზომებს წითელი არმიისა და ინვალიდების უზრუნველსაყოფად. დღესასწაული შეუერთდება წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებულ კავალერთა დღესასწაულს, რომლის მოწყობა განზრახულია შემოღებულ იქნეს ყოველწლიურად. უშვებენ სპეციალურ საიუბილეო ნიშანს წითელ არმიელთა და დემობილიზაციით გაშვებულთათვის. მოსკოვში ეწყობა წითელი არმიის და ფლოტის მუზეუმის გამოფენა. განზრახულია დიდი ალბომის გამოშვება არმიისა და ფლოტის ცხოვრების აღსანიშნავად, მასალების კრებული—სამოქალაქო ომის ისტორიის შესახებ და სხვა.

მსხვილი მრეწველების თათბირი.

მოსკოვი. 21 დეკემბერი. მსხვილი მრეწველების და ტრანსპორტის წარმომადგენელთა თათბირზე [illegible]—ბერნშტეინმა აღნიშნა ტრანსპორტის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა. ტრანსპორტს ესაჭიროება საბრუნავი კაპიტალი 75 მილიონი მანეთი ოქროთი. გაღებულია მხოლოდ 20 მილიონი. ტრანსპორტის აღდგენისათვის აუცილებელია სატარიფო და საქონლის კოეფიციენტის გათანასწორება. ამ საკითხში ტრანსპორტი უნდა დადგეს მრეწველობის ყველა დანარჩენ დარგების დონეზე.

ლარინი, მოხსენებაში მრეწველობის გადასახადებით დაბეგვრის შესახებ, აკრიტიკებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის პოლიტიკას, რომელიც ტვირთავს მრეწველობას სხვა და სხვა გადასახადებით. მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში მრეწველობაზე გაწერილ გადასახადის ჯამი უდრის 110 მილ. საქ. მანეთს; მრეწველობის [illegible] მხოლოდ 50 მილ. მრეწველობის დაბეგვრა აღწევს მთელი პროდუქციის 17 ნახ. პროც, გადიდებულია მხოლოდ 3 პროც. მრეწველობის დაბეგვრა მომავალ საოპერაციო წლი-

სათვის ფინანსთა სახალხო კომისარიატის პროექტით აღწევს პროდუქციის 24 პროც. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საგადასახადო პოლიტიკა აფერხებს მრეწველობის განვითარებას. აუცილებელია ფინანსთა სახალხო კომისარიატის პოლიტიკის ძირითადი შეცვლა მრეწველობის დაბეგვრის სფეროში.

გლეხთა საურთიერთო დახმარების ყრილობა.

მოსკოვი. 21 დეკემბ. სრულიად რუსეთის გლეხთა საურთიერთო დახმარების ყრილობაზე გამოტანილ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო ყოველგვარი ზომები, რაც კი შესაძლებელი იყო შიმშილობის დანგრევის პირობებში სასოფლო მეურნეობის აღსადგენად. ყრილობა მოუწოდებს მშრომელ გლეხობას ფართო ორგანიზაციულ თვითმოქმედებისაკენ. გლეხთა დახმარება პირველ ყოვლისა, უნდა აღმოჩენილ იქნას წითელ არმიელების, ინვალიდების და ომში დახოცილთა განადგურებულ მეურნეობათათვის.

მოსკოვის გუბერნიის საბჭოთა ყრილობაზე.

მოსკოვი. 20 დეკემბ. მოსკოვის გუბერნიის საბჭოთა ყრილობაზე მოხსენებაში მოსკოვის ფინანსიური განყოფილების მოქმედების შესახებ აღნიშნული იქნა, რომ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში შემოსულმა გადასახადებმა იმატა, მაგრამ დიდი ზარალია მანეთის კურსის დაცემის გამო. 11 თვის განმავლობაში გადასახადებიდან შემოსავალი უდრის 100 ტრილიონ (ფულის ნიშნებით) ანუ 45 მილიონს ოქროთი. უახლოეს დროში ჩატარებული უნდა იქნეს გადასახადის მოკრება სოფლად კომლურად და ფულის მოკრება ქალაქებში რაც უნდა უდრიდეს შენობების ღირებულების 1 პროც. მოსკოვის გასავალი 11 თვის განმავლობაში უდრის 196 ტრილიონს. დეფიციტი უდრის 33 ტრილიონს.

ყრილობა ღებულობს რეზოლიუციას, რომელიც იწონებს მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. მოსკოვის საბჭოს ღონისძიებათა საშუალებით გუბერნიამ არამც თუ უნდა აღადგინოს სასოფლო მეურნეობა, არამედ შინა ნაწარმოებით უნდა შეძლოს თავისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მოსკოვის გუბერნიაში მრეწველობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კლიმოხინი, რომელმაც აღნიშნა შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო ზრდა წარსულ წელთან შედარებით და სამუშაო ხელფასის მომატება.

მოსკოვის საბჭოს მოწოდება

მოსკოვი. 20 დეკ. მოსკოვის საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მშრომელთ: „მოსკოვის საბჭო ხელახლა არჩეული მოსკოვის მუშების, წითელ არმიელების და მშრომელ ინტელიგენციის მიერ, ესალმება მთელი ქვეყნის მშრომელთ. პროლეტარული მოსკოვი 1922 წელში, გაცილებით უფრო ძლიერი ვინემ ოდესმე ყოფილა ის, შემოკრბა თავის გამოცდილი წინ მძღოლის—კომუნისტური პარტიის გარშემო. მოსკოვის მუშათა კლასი, ხუთი წლის გამოცდილებით, დარწმუნდა, რომ ბრძოლაში და აღმშენებლობაში გამარჯვების მიღწევა უახლოესი გზით შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალის და მისი რუსეთის სექციის საშუალებით. გადაიტანეს რა დიადი ტანჯვა-წვალება შიმშილობის, სიცივის, ომიანობის, ბლოკადის და ნგრევისა, მოსკოვის მუშები ზნეობრივად მაღლდებიან და იწყებენ თავიანთ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს წლებში ჩვენ მივაღწევთ უფრო თვალსაჩინო კულტურულ და სამეურნეო წარმატებას. ამავე დროს კი ევროპის და ამერიკის ქვეყნებში მუშათა კლასი განიცდის მართველი ბურჟუაზიის მხრიდან განუწყვეტელ თავდასხმას. პროლეტარიატის ყველა მონაპოვარნი ლიკვიდაციის მოხდენის საშიშროების ქვეშ იმყოფება. საერთაშორისო ფაშიზმი ფარფაში ჰერს ქვეშ ერეკება და კანონ გარეშე ტოვებს არა მარტო კომუნისტურ პარტიებს, არამედ პროლეტარიატის ფართო მასებსაც, ემუქრება (გაძლიერებულია)... **თუ ბურჟუაზიას ლაგამი არ ამოსდო პროლეტარიატმა. მხოლოდ პროლეტარიატის ერთიან ფრონტს, კაპიტალის წინააღმდეგ, მხოლოდ შეუწყვეტელ რევოლიუციონურ ბრძოლას და ბურჟუაზიასთან ყოველგვარ შეთანხმების უარყოფას შეუძლიან პროლეტარიატის საქმის ხსნა. მოსკოვის საბჭო მის ამომრჩეველ ათასეულ მშრომელთა სახელით მოგიწოდებთ თქვენ იმ გზისკენ, რომელიც გამარჯვების და ხსნის ერთად ერთი გზაა—საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციისკენ.**

უცხოეთის ცხოვრება

[illegible] ინგლისი.

ინგლისის პოლიტიკურ წრეების ყურადღების მთავარ საგანს შეადგენს ამ ჟამად საკითხი ორივე ლიბერალურ პარტიების ერთ პარტიაში გაერთიანების შესახებ. საქმე იმაშია, რომ იმ დებატების დროს, რომელიც გაიმართა მეფის სიტყვაზე თემთა პალატის მიერ მიცემულ პასუხის გამო, გამოირკვა, რომ ჯერ-ჯერობით ორივე ლიბერალური ფრაქციები (დამოუკიდებელი და ნაციონალური) დაქსაქსულობის [illegible] არ შეუძლიათ ითამაშონ მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი. ამავე დროს, თუ ეს პარტიები გაერთიანდებოდენ, მაშინ დაარსდებოდა საპარლამენტო ფრაქცია, რომელიც მხოლოდ ათეული დეპუტატის მანდატით იქნებოდა ნაკლები მუშათა ფრაქციის რაოდენობაზე. მაშინ ლიბერალურ პარტიას შეეძლებოდა წარედგინა მოთხოვნილება მისთვის მისი უდიდებულესობის ოპოზიციის სახელწოდების დაბრუნებისა.

ორივე ლიბერალურ სექციაში დაასდენ ჯგუფები, რომელნიც ცდილობენ გადოიან ხიდი ორივე ფრაქციის შორის. ამ ჯგუფებმა აიძულეს ორთავე ფრაქციის ბელადები ასკვიტი და ლოიდ-ჯორჯი ერთმანეთისათვის გაეზიარებიათ აზრები წერილებით, რომელშიაც გამოსჭვივის გულწრფელი სურვილი ლიბერალურ პარტიის აღდგენისა. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკითხს ლიდერების შესახებ, რომელსაც, რა თქმა უნდა შეუძლია დაქსაქსოს გაერთიანებულ ლიბერალური პარტია დაუყონებლივ მისი დაარსების შემდეგ, და რომლის მოწესრიგება ამიტომ საჭიროა ამ გაერთიანების მოხდენამდე. ამისდა მიხედვით დიდად მნიშვნელოვანია ის, რომ ლოიდ-ჯორჯი თითქოს მზად არის ლიბერალურ პარტიაში ფორმალური ლიდერობა ასკვიტს დაუთმოს. ლოიდ-ჯორჯის ეს გადაწყვეტილება თავის ნებით დაიჭიროს მეორე ადგილი, აიხსნება ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ ყოფილ პრემიერს, მშვენივრად ესმის, რომ ლიბერალურ ფრაქციების გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელთა ფრაქციაში ნაციონალურ ლიბერალების შესვლის შემდეგ, იმ ფრაქციის, რომელიც თავის თავს ძველ ლიბერალურ პარტიად სთვლის. მეორეს მხრივ ლოიდ-ჯორჯს იმედი აქვს თავის პირადი გავლენის სიძლიერისა და ფიქრობს, რომ ის იძულებულია დროებით დასთმოს თავისი თავმოყვარეობა და „იმსახუროს ასკვიტის ხელმძღვანელობით", როგორც ის ამბობს ერთ-ერთ თავის წერილში.

ავსტრია

ბოლო ხანებში ავსტრიაში სულ უფრო და უფრო ძლიერდება მონარქისტული მოძრაობა. ავსტრიაში სამი მონარქიული პარტია არსებობს: პარტია ავსტრიის მონარქისტებისა, პარტია შავ-ყვითელ ლეგიტიმისტებისა და ავსტრიის სახელმწიფო პარტია. სამივე ამ პარტიას ცხადია დასახული აქვთ ერთი მიზანი. ავსტრიაში მონარქიის აღდგენა განსვენებულ იმპერატორ კარლოსის უფროსი შვილის ერცჰერცოგის ოტტონის მეთაურობით. ამ პარტიებს ერთმანეთიდან არჩევენ ის სხვადასხვა საშუალებანი და ტაქტიკა, რომლითაც ფიქრობენ დასახული მიზნის მიღწევას.

ავსტრიის მონარქისტების პარტია ამ ორი წლის წინად დაარსებული იქნა ავსტრიის ყოფილ გარეშე საქმეთა მინისტრის მიჩ ველ ბარონ ვიზნის მიერ. პარტიას ყავს 45,000 აქტიური წევრი, უმთავრესად ვენაში, ქვედა ავსტრიაში და შტირიაში. ეს პარტია მუშაობს ფარულად, ჩუმად, ცდილობს რა არ გამოამჟღავნოს თავისი მოქმედება. ის ფიქრობს აშკარად გამოვიდეს პოლიტიკურ სარბიელზე, მის შემდეგ, როდესაც სავსებით მოთავდება მისი შინაგანი ორგანიზაცია. შავ ყვითელი მონარქისტების (გამსბურგსკის ლომბის დროშის) პარტია დაარსებული იქნა გაბსბურგთა დამხობიდან რამოდენიმე თვის შემდეგ პოლკოვნიკ ვოლფის მიერ, რომელმაც გააერთიანა გაბსბურგის 15.000 მდე მიმდევარი. ეს პარტია სცემს პოლიტიკურ ყოველკვირეულ „[illegible]"-ს და ავრცელებს პამფლეტ-ბროშიურებს, რომლებშიდაც ხოტბას ასხმენ გაბსბურგის გვარეულობის თვითეულ წარმომადგენელთა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, თვით უკანასკნელი კარლოსის გამოუკლებლივ. ამ პარტიის მიერ გამართულ კრებებმა თანაგრძნობა ვერ გამოიწვიეს. მესამე მონარქისტული პარტია—ავსტრიის სახელმწიფო პარტია—მიმდინარე წლის იენვარიდან არსებობს. ეს პარტია ემსახურება ჰაბსბურგის მონარქიის თანამედროვე ავსტრიის უფრო ფართო საზღვრებში აღდგენის იდეას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამი მონარქისტული პარტიები მცირერიცხოვანი არიან, ისინი მაინც საკმაო საფრთხეს წარმოადგენენ ავსტრიის რესპუბლიკის არსებობისათვის, იმდენად, რამდენადაც ამ პარტიების ფარული და აშკარა მიმდევარნი იმყოფებიან უმთავრესად სახელმწიფო მოხელეთა რიგებში. ამას გარდა, ავსტრიის ისედაც ღელვებული ფართო მასები, საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენენ ყოველგვარ საგიტაციო გამოსვლებისთვის, თუ გინდ ეს მონარქისტული ხასიათის იყოს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

არდადაგები. განათლების სახალხო კომისარის განკარგულებით სასწავლებლებში არდადაგები იწყება 14 იანვრიდან და გრძელდება 23 იანვრამდე.

რევოლიუციის მუზეუმი. სახელმწიფო მუზეუმთან დაარსებულ რევოლიუციის მუზეუმმა უკვე დაიწყო მასალების შეკრება სომხეთში მომხდარ რევოლიუციონურ მოძრაობასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ.

ერევანი 19 დეკემბერი. კონიაკის ქარხანა „არარატმა" შეისყიდა 97.000 ფუთი ყურძენი. სასურსათო გადასახადი შეკრებილია 37.000 ფუთი. შესრულებულია დანიშნულების 126 პროც., სასურსათო გადასახადის 170 პროც. ერთად ყურძნის მოკრების საქმის სასურველად შესრულებისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დააჯილდოვა მუშა მოსამსახურენი, და განსაკუთრებული ბრძანებით განუცხადა მათ მადლობა. სახელმწიფო ქარხანა „არარატის" წარმოება სასურველად მიმდინარეობს. გაგზავნილია მოსკოვში სამარშრუტო მატარებლით 16 ვაგონი ღვინო და კონიაკი, მზადდება გასაგზავნად შემდეგი მარშრუტი. „არარატის" ღვინოს დიდი გასავალი აქვს მოსკოვის ბაზარზე.

შემოსავალი გადასახადებიდან. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო მართველობის ცნობით სექტემბერში არა პირდაპირი გადასახადები შეკრებილია 54,5 მილიარდ მანეთის, ოქტომბერში—73 მილიარდის, ნოემბერში—90 მილიარდის.

საქართველო

ქუთაისის სასურსათო გადასახადის შეგროვება. სამაზრო კომისიის დადგენილებით, ქუთაისის მაზრაში სასურსათო გადასახადის აკრეფა დაიწყება 20 დეკემბრიდან. მიღებულია რა მხედველობაში, რომ მიმდინარე წელს მაზრაში კარგი მოსავალი იყო, განზრახულია სასურსათო გადასახადის სავსებით აკრეფა—100 პროც. წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულია სასურსათო გადასახადის აკრეფის ჩასატარებლად. გამოცხადებულია პარტიის საუკეთესო ძალების მობილიზაცია

ბათუმი.

აღწერის შედეგი. როგორც აღწერისაგან გამოირკვა, სამრეწველოს 76 დაწესებულებიდან სხვა და სხვა მიზეზის გამო მუშაობა შეაჩერა 30. აღწერა იძლევა მასალას სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების მიმოხილვის შესახებ.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

(დასასრული. იხ. „კომ." № 293)

სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ამხ. ხარაზიანის მოხსენება. კომისიამ პირველ რიგში რევიზია გაუკეთა 21 წლის ხარჯების და შემოსავლის ანგარიშს, შემდეგ კი 22 წლისას 16 დეკემბრამდე. რევიზიის შედეგად გამოირკვეულ იქნა, რომ ანგარიში სრულიად სწორია და ნაშთი 16 დეკემბრისათვის სწორად არის გამოყვანილი. გაეცნო რა, პირადი დათვალიერების საშუალებით, დამხმარე კასის მოღვაწეობას და ამბულატორიების მუშაობას, კომისიამ გამოარკვია, რომ საქმე საუკეთესოდ არის დაყენებული. გადასახადთა ქვეგანყოფილების მუშაობაში კომისიამ ყურადღება მიაქცია არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო დაწესებულებებს წესიერად არ შემოაქვთ გადასახადი. საჭიროა პროვინციასთან კავშირის გაუმჯობესება.

საერთოდ სარევიზიო კომისია ცენტრალურ დამხმარე კასის მოღვაწეობას, არსებულ ფინანსიურ პირობებში სრულიად დამაკმაყოფილებლად სცნობს და სთვლის, რომ გამგეობამ გამოიჩინა მაქსიმუმი ენერგია.

რეზოლიუცია.

კამათის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც პლენუმი სცნობს რა დამაკმაყოფილებლად ძველი გამგეობის მოღვაწეობას ავალებს ახალ გამგეობას:

1) ცხოვრებაში გატარებას პროფკავშირების მე-5-ე ყრილობის და საკავშირო საბჭოს დადგენილების სოციალური დაზღვევის შესახებ, 2) პროვინციაში საქმის დაყენებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას, 3) კურორტების ორგანიზაციის საქმეში მონაწილეობის მიღებას და 4) პროფკავშირებთან ერთად ყოველგვარი ზომების მიღებას ერთეულების ფაქტიურად დაზღვევისათვის და სხვ.

არჩევნები.

გამგეობის შემადგენლობაში ერთხმად არჩეული არიან წევრებად: ხოტულაშვილი, ელბაქიძე, გოლდაბრელძე, მაჭკევიჩი, შახნაზაროვი, სერგიევი, ცომაია, შელიქოვი და არჩვაძე. კანდიდატებად: სილენკოვი, გიგინავა და იმნაძე.

სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან: ატოევი, ხარაზიანი და გოლდმანი, კანდიდატებად დავითიანი და ავაკოვი.

კურორტ ორაზნიდის შესახებ.

ამხ. ყურულაშვილმა გააკეთა მოკლე ინფორმაციული ხასიათის მოხსენება კურორტ ორაზნიდის შესახებ და გამოაცხადა სანატორიუმის აღმდგენისათვის დაარსებულ კომისიის შემადგენლობა. მუშაობა უკვე სწარმოებს და გაზაფხულისათვის მოწყობილ იქნება 36 ოთახი, სადაც მოთავსდება 70 ავადმყოფი. დანარჩენი შენობა მზად იქნება შუა ზაფხულისათვის თუ ექნება საჭირო საშუალებები.

მოხსენება მიღებულ იქნა მხედველობაში.

ქუჩის ბავშვთა სახლი

სახლში ამ ჟამად იმყოფება დაახლოებით ასამდე ბავშვი. დროებით საჭირო შეიქნა მიღების შეწყვეტა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ სახლის გახსნა მოხდა საჩქაროდ, არ იყო ის სავსებით მოწყობილი, არ მოიპოებოდა საკმაოდ ზეწრები, საწოლები, და ტანთსაცმელები. მიღების შეწყვეტა აუცილებელი იყო აგრეთვე შინაგან, პედაგოგიურ მიზეზების გამო, ქუჩიდან მოგვყავდა მრავალი ისეთი მასალები, რომელთაც ესე ემუქრებოდა დალაგება და დახარისხება. შიგ მოყვანილ იყვნენ ისეთი ტიპები, რომლებიც ცუდ გავლენას ახდენდენ დანარჩენებზე. საჭირო შეიქნა მათი იზოლიაცია და რამოდენიმეს გაძევებაც.

ბავშვები დანაწილებული არიან სამ ძირითად ჯგუფებად ენების მიხედვით. თვითეულ ჯგუფში 15 კაცია, დანიშნულია [illegible] ხელმძღვანელი. წერა-კითხვის გარდა, ბავშვები შეისწავლიან ხელოსნობას, ხატვას, სიმღერას, ტანვარჯიშობას.

ამ ჟამად სახლში შეიძლება კიდევ 50 ბავშვის მიღება. იმის გამო, რომ ერთბაშად დიდი კონტინგენტის მიღება საქმის და ორგანიზაციის დალაგების მიზნით არ არის მიღებული, გადაწყვეტილია დღიურად მიიღონ 5 10 15 კაცი.

ამით გადავტვირთულია ახლად მიღებულ ბავშვების არსებულ ჯგუფებში დანაწილების საქმე, რომ არ იქნეს შეტანილი დეზორგანიზაცია ახლად დალაგებულ საქმეში.

20 დეკემბრიდან იწყება ახალი ბავშვების მიღება დღიურად 6-10 რაოდენობით.

მუშაობა ძნელდება კიდევ მით, რომ მიღებულია აუარება დაავადმყოფებული ბავშვები, რომელთათვის ადგილიც არ არის. ბავშვების დაახლოებით მეხუთედი ნაწილი საწოლში წევს. არის აგრეთვე წითელათ დაავადმყოფებული ბავშვი.

დაავადმყოფებულები დანაწილებული არიან, ცალკე ჰყავთ მოსამსახურეების საკუთარი შტატი, ექიმი, ფერშალი ქალი, მორიგე.

მიუხედავად ყველა იმ დაბრკოლებისა, რომელიც [illegible] ქუჩის ბავშვთა სახლის მოწყობის განხორციელების, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ ჟამად ამ საქმეს მტკიცე ნიადაგი აქვს და მისი შემდეგი განვითარება და გაფართოვება დამოკიდებული იქნება იმ თანაგრძნობაზე, რომელსაც გამოიჩენენ ამ ნაგების მუშები ამ საკითხისადმი. საქმე იმაშია, რომ დახმარებათა შორის ვალი თითქმის შეწყდა და ის ენთუზიაზმი, რომელიც გამოიჩინეს მუშებმა და მოქალაქეებმა საქმის დაწყების დროს ქრება.

ხოლო, სწორედ ახლა არის საჭირო საქმის მოწესრიგება და მტკიცე საფუძველზე დაყენება.

მ. ეხნინი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა
ერთიან პარტიულ დღეს
22 დეკემბერს
თვით რაიკომებმა შეიმუშავონ დღის წესრიგი.
ტფ. კომიტ. მდივანი—მიხ. კახიანი

საქართველოს ტექნიკური სააღმშენებლო ბიურო
„სატსამბო"
მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 3 ტელ. 3—26, დეპეშის მისამართი—ტფილისი, „სატსამბო", განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ სენაკში
ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტექნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა. (კრ. 682—10—4)

პარტიული ცხოვრება

ახალციხე

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები
(ცენტრალური გამწმენდი კომისიის ანგარიშები)

ახალციხის მაზრა. სამაზრო პარტიული ორგანიზაცია გაწმენდის შემდეგ შემცირდა სულ 8 კაცით ანუ მთელი ორგანიზაციის შემადგენლობის 16,2 პროცენტით.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ასეთია: მექანიკურად გამორიცხულია (გაწმენდის ინსტრუქციის 10 მუხლის თანახმად)—3. გამორიცხულია 5, დროებით გამორიცხული არ ყოფილა.

ამგვარად მექანიკურად გამორიცხულთა რიცხვი პროცენტულად უდრის 37,5 და გამორიცხულთა—62,5 პროც.

პარტიიდან გამორიცხულთა განაწილება სოციალურ მდგომარეობის მიხედვით შემდეგია:

	გამორიც.	მექანიკ. გას.	სულ
მუშები	—	—	—
ხელოსნები	1	1	2
გლეხები	2	1	3
მოსამ. და ხ. მ.	2	1	3
სულ	5	3	8

პარტიულ რიგების შემცირება თითეულ სოციალურ ჯგუფში პროცენტულად შემდეგია: თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის დროს დაჰკარგა: მუშები—0, ხელოსნები—11,8 პროც., გლეხები—50 პ[illegible] მოსამსახურეები—16,4 პროც., ყველაზე მეტი პროცენტი დაჰკარგა გლეხებმა, შემდეგ საბჭ. მოსამსახურეებმა და დანარჩენი ინტელიგენტურ და ნახევრად ინტელიგენტურმა ელემენტმა, შემდეგ ხელოსნებმა, მუშებში გამორიცხვა არ ყოფილა.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით. მეკუნტ[illegible] და კულაკებთან კავშირის გამო—თანამდებობით ბოროტ მოქმედებისა და კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებისათვის—ყოფილი პოლიციელი და თათრებთან საქმიანობის გამო—1, მექრთამეობისათვის—2, კარიერიზმისა (პარტიაში პირადი სარგებლობისათვის შესვლის გამო—1, სულ—5, მექანიკურად გასულია—3.

ცენტრალური გამწმენდი კომისია

მე-2 რაიონის საზოგადო პარტიული კრება.

ოთხშაბათს, 20 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა მეორე რაიონის საზოგადო პარტიული კრება ახალგაზრდათა კომკავშირის და სამხედრო ორგანიზაციების წევრთა მონაწილეობით. დღის წესრიგში რაიონულ კომიტეტის მიერ შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. კომინტერნის მე 4 კონგრესი.

და 2. ამიერ-კავკასიის 1 საბჭოთა ყრილობის შესახებ. კომინტერნის მეოთხე კონგრესის შესახებ მოხსენება გააკეთა, კონგრესიდან დაბრუნებულმა მეორე რაიკომის ყოფილმა მდივანმა ამხ. [illegible]. მან მოკლეთ გაეცნო კრებას შინაარსი კონგრესის მუშაობისა. უმთავრესად მომხსენებელი შეეხო მთავარ მომენტებს კონგრესზე გაკეთებულ მოხსენებისას და შეჩერდა იმ საკითხებზე, რომლებიც ახასიათებენ მე-4 კონგრესის მუშაობას. მომხსენებელმა განსაკუთრებით შეეხო: ტაქტიკას და პერსპექტივებს კომუნისტურ ინტერნაციონალისა, რევოლიუციის 5 წლის და საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივებს, დირექტივებს მიცემულ კომუნისტურ ინტერნაციონალის მიერ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებისადმი და საერთაშორისო მდგომარეობას იმ სახით, როგორითაც გა

კომინტერნის და კომუნისტური პარტიების პროგრამა

(ამხ. ბუხარინის მოხსენება კომინტერნის კონგრესზე)

(დასასრული *)

რა არის რევოლუცია.

მაგრამ არის კიდევ უფრო გასაოცარი და სამარცხვინო თეორეტიული ღალატი. ასეთის კაუცკის მიერ პროლეტარული რევოლიუციისა და კოალიციონურ მთავრობის გაგება, რაც ამტკიცებს, რომ მან მართლადაც დაჰკარგა თეორეტიულ სინდისის უკანასკნელი ატომები. კაუცკი ამტკიცებს პირველ ყოვლისა, რომ ბურჟუაზიული რევოლიუცია ყოველთვის ხმარობს ძალას, და მეორე—რომ პროლეტარულმა რევოლიუციამ არ უნდა იხმაროს ძალა, იმიტომ რომ იგი არის პროლეტარული რევოლიუცია. მეორემ ამ ბატონთაგანმა განაცხადა, რომ ძალდატანება ყოველთვის რეაქციონურია. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ენგელსი ერთ-ერთ თავის იტალიურ წერილში რევოლიუციის შესახებ სწერდა შემდეგს: „რევოლიუცია არის ყველაზე უფრო ავტორიტეტული საქმე, ვინაიდან იგი შეადგენს ისტორიულ მოვლენას, რომლის დროსაც მცხოვრებთა ერთი ნაწილი ხიშტების, ვინტოვკების და ზარბაზნების საშუალებით თავზე ახვევს მეორეს თავის ნებისყოფას". ასე უცქეროდა ამ საკითხს რევოლიუციონური მარქსიზმი და ამის შემდეგ გამო[illegible] რომ: „ხიშტები, ზარბაზნები და ძალდატანების სხვა საშუალებანი—ბურჟუაზიულია. ეს გამოიგონა არა პროლეტარიატმა, არამედ ბურჟუაზიამ. ბარიკადა—ეს წმინდა ბურჟუაზიული დაწესებულება" (სიცილი). ანალოგიურად შეიძლება ითქვას: თუ ბურჟუაზიულ რევოლიუციის წინ ბურჟუაზია აბობდა თავისი აზროვნების საშუალებით, მაშ ჩვენთვის საშიშარ ყოფილა აზროვნება. შესაძლოა სწორედ ამიტომ არ აქვს დღეს კაუცკის აზრები. (საერთო სიცილი) მეჯლობის ამგვარი მეთოდი სერიოზულ მეთოდათ ვერ ჩაითვლება.

კოალიციის საკითხი.

შემდეგ გადავიდეთ კოალიციის საკითხზე. აქ კაუცკიმ ყველაზე დიდი აღორძინება მოახდინა. იგი ამტკიცებს, რომ იგი არის ორტოდოქსალურ მარქსიზმის წარმომადგენელი. მარქსი ამტკიცებდა, რომ საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ არის მისი მეცნიერების სული და გული. მარქსი ერთ ადგილას ამბობს: „კლასთა ბრძოლის შესახებ ჩემამდისაც ლაპარაკობდენ, მაგრამ ჩემი მოძღვრება მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალიზმის განვითარებას აუცილებლად პროლეტარიატის დიქტატურისაკენ მივყავართო". ასე უცქეროდა თვით მარქსი თავის მოძღვრებას.

აი რაში მდგომარეობს მარქსისტული მოძღვრების ძირითადი და გამანსხვავებელი თვისება. „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებათა შორის არის ერთის მეორეში რევოლიუციონურად გადასვლის პერიოდი. ამას ეთანაბრება აგრეთვე გარდამავალი პოლიტიკური პერიოდი, რომელშიაც სახელმწიფოს არ შეუძლია იყოს სხვა რამ თუ არა პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურაო" ასე ლაპარაკობდა მარქსი. ხოლო კაუცკი თავის ცნობილ წერილში, [illegible] დემოკრატიულ პროგრამის კრიტიკაში აცხადებს: (მე მომყავს სიტყვა-სიტყვით) „მარქსის ეს დებულება ჩვენ შეგვიძლია დღეს, თუ მივიღებთ მხედველობაში წარსული წლების გამოცდილებას, იმგვარად შევცვალოთ მთავრობის საკითხზე, რომ ჩვენ მივიღოთ შემდეგი აზრი: წმინდა ბურჟუაზიულ და წმინდა პროლეტარულ დემოკრატიულ სახელმწიფოს შორის არის ერთის-მეორეში გადასვლის პერიოდი. ამას ეთანხმება აგრეთვე გარდამავალი პოლიტიკური პერიოდი, რომელშიაც მთავრობა საზოგადო წესით მიიღებს კოალიციონურ მთავრობის ფორმას" (სიცილი) ჩვენ აქ უკვე საქმე გვაქვს მარქსიზმიდან რევიზიონიზმზე გარდამავალ ფორმასთან. ეს წმინდა რევიზიონიზმზე უარესია. კომუნიზმი აქ სრულიად ქრება.

ბურჟუაზიულ იდეოლოგების ქათინაურები მე-2 ინტერნაციონალის თეორეტიკოსებისადმი.

რაც შეეხება, სხვათა შორის, კოალიციით დიქტატურის შეცვლას, გასაკვირველი აღარ არის, როდესაც ზოგიერთი ბურჟუაზიული თეორეტიკოსები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ მე-2 ინტერნაციონალის თეორეტიკოსებს მარქსიზმის აღარ ფერი აცხიათო. გერმანიაში იმყოფება პროფესორი ჰანს დელბრიუკი, ძლიერ ჭკვიანი კაცი, რომელმაც მე-2 ინტერნაციონალის თეორეტიკოსთა სხვა და სხვა ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ „პრუსიის ყოველწლიურ ჟურნალში" შემდეგი დასწერა: „განსხვავება ჩვენსა—ბურჟუაზიულ წარმომადგენელთა და თქვენს შორის (მას სახეში კაუცკი ყავს)—არის მხოლოდ განსხვავება ხარისხის მიხედვით. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი იმ გზით, რომელსაც ჩვენ დავადექით და მარქსისტული ლოზუნგები გაიფანტებიანო". ეს ძლიან კარგი ციტატაა. სხვა და სხვა კლასთა, პარტიების და ჯგუფების [illegible] ველზე ჩვენ ვხედავთ სხვა და სხვაგვარ გადაჯგუფებებს და ყველაზე დიდი გადაჯგუფება იყო პროლეტარიატის გათიშვა, რომელიც გამოწვეულია სოციალ-დემოკრატიულ პარტიების და პროფკავშირთა წინამძღოლების პოლიტიკურ ღალატით, რამაც მიიყვანა ამ მუშათა ორგანიზაციების ბლოკამდე ბურჟუაზიასთან. და ამ პროცესის პარალელურად დაიწყო მეორე პროცესი—ეს არის მარქსისტების ბურჟუაზიულ მეცნიერებასთან ბლოკის პროცესი. და იმ გვარადვე, როგორც პოლიტიკურად მხოლოდ ერთი კომუნისტური ინტერნაციონალი სდგას ნამდვილ რევოლიუციონურ თვალსაზრისზე, ისე თეორეტიულადაც იგი ერთად ერთი გამოხატავს ამ ჟამად ნამდვილ მარქსიზმს.

ჩვენი ეპოქის ანალიზი.

გადავიდეთ ახლა მეორე საკითხზე. მე ვილაპარაკებ ისეთ საკითხებზე, რომელნიც ჯერ კიდევ სავსებით დამუშავებული არ არიან. პირველ ყოვლისა იბადება საკითხი, როგორი თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია მთელი კაპიტალისტური განვითარების განხილვა. როგორი თეორეტიული ღერძის ამორჩევაა უკეთესი. ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ სხვა და სხვა ღერძები—ან მუშათა კლასის მდგომარეობა, ან კაპიტალის კონცენტრაცია, ან ახალ საზოგადოების ელემენტების წარმოშობა, ან სხვა რომელიმე თვისება კაპიტალისტური განვითარებისა. მაგრამ მე ვფიქრობ რომ ჩვენ უნდა განვიხილოთ კაპიტალისტური საზოგადოების ყველა პროცესები კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა განუწყვეტელი გამოხატულების თვალსაზრისით. ჩვენ დღეს ვიმყოფებით განვითარების ისეთ სტადიაში, როდესაც კაპიტალიზმი უკვე იშლება. ომი გარეგნული გამოხატულება იყო იმ წინააღმდეგობათა, რომელიც საერთოდ კაპიტალისტურ კონკურენციას სჩვევია. ჩვენთვის საკმარისია ვაღიაროთ, რომ ომი წარმოადგენდა კაპიტალიზმის ანარქიულ სტრუქტურის წინააღმდეგობათა მუდმივ გამოხატულების შედეგს და თუ ამ წინააღმდეგობათა გამოაშკარავება შეუძლებლად ხდის კაპიტალისტურ საზოგადოების არსებობას, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია განვიხილოთ სწორეთ ამ თვალსაზრისით.

მეორე საკითხი არის საკითხი იმპერიალიზმის შესახებ. მე მინდა ხაზი გაუსვა ერთ მუხლს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია და სახელდობრ, რით აიხსნება ფინანსიურ კაპიტალის ძალდატანების პოლიტიკის სპეციფიური ფორმები. განმარტებანი ძლიან ბევრია. აღნიშნავდენ კაპიტალიზმის მონოპოლისტურ ხასიათს და სხვა გარემოებებს. ეს მართალი იყო, მაგრამ ჩემის აზრით ფრიად მნიშვნელოვანი განმარტება შემდეგში მდგომარეობს. როდესაც ძველი პოლიტიკური ეკონომია, სხვათა შორის მარქსისტულიც, ლაპარაკობდა კონკურენციის შესახებ მას არსებითად სახეში ჰქონდა ამ უკანასკნელის მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც დამახასიათებელია ე. წ. სამრეწველო კაპიტალიზმის ხანისათვის. ეს იყო ბრძოლა სხვა და სხვა მრეწველთა შორის და კონკურენციის მეთოდი იყო დაბალი ფასები. მარქსს სწორედ კონკურენციის ამ სახის ანალიზი აქვს, მაგრამ იმპერიალისტურ ხანაში სცენაზე გამოდის კონკურენციის არა ეს სახეები; ამ ხანაში დაკლებული ფასების მეთოდი უკანა რიგშია ჩაყენებული. როდესაც მაგ. ნახშირის სინდიკატი ებრძვის რკინის სინდიკატს ზედმეტი ღირებულების დაყოფისათვის, უაზრობა იქნებოდა, რომ ამ სინდიკატებს მართლაც შეუძლიათ ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევა დაკლებული ფასების საშუალებით. მათი ბრძოლის საშუალებანია ყოველგვარი ძალდატანების საშუალებანი (ბოიკოტი და სხვა). ბურჟუაზიის მთავარი ჯგუფებია ამ ჟამად სახელმწიფოები—ტრესტები

სავსებით გასაგებია, რომ ბრძოლის სიმძიმის ცენტრი აქაც ძალდატანების საშუალებებზეა გადატანილი (საგარეო ომები, შეიარაღებული ძალები და სხ.). აგრარულ და სამრეწველო ქვეყნების არსებობა, მრეწველობის დარგების სხვა და სხვაგვარი კომბინაციები ყველაფერი ეს ითვალისწინებს იმას, რომ ამ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ სხვა პოლიტიკის წარმოება. დაკლებული ფასების პოლიტიკა თითქმის შეუძლებელია ვითარდებიან საკონკურენციო ბრძოლის ახალი ფორმები, რომელიც იწვევს სახელმწიფოს სამხედრო ჩარევას.

რა საკითხებზე უნდა გაუსვას ხაზი ჩვენმა პროგრამამ?

აღვნიშნავ ეხლა მუხლს, რომელიც განსაკუთრებულად უნდა იქნას პროგრამაში ხაზგასმული. სახელმწიფოს როლი საზოგადოდ და დღევანდელ მომენტში კერძოთ. ჩვენ აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ მარქსისტულ თეორიაში და ორტოდოქსალურ მარქსისტების თეორიაშიაც სახელმწიფოს საკითხი ძალიან ღრმად არ იყო შემუშავებული. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორ მოღალატურად გადასწყვიტეს ეს საკითხი ეპიგონებმა. მაგრამ რომელი რევოლიუციონური მარქსისტი არკვევდა მას ვრცლად? ერთი თუ ორი კაცი. მარქსისტული თეორია წარმოიშვა იმ პერიოდში, როდესაც თავისუფალი კონკურენცია იყო გამეფებული. მაგრამ ეხლა სახელმწიფოს როლი ფრიად მნიშვნელოვანია როგორც პროლეტარიატის, ისე ბურჟუაზიის თვალსაზრისით. ერთის მხრივ ჩვენ უნდა დავანგრიოთ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, მეორე მხრივ—ავაშენოთ რაღაც ახალი და ამასთანავე ვისარგებლოთ ჩვენი სახელმწიფოთი, როგორც ბერკეტით ეკონომიურ ურთიერთობათა შესაცვლელად. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ პროგრამაში ხაზი უნდა გაუსვათ სახელმწიფოს როლს და მასთან დაკავშირებულ მეორე ხარისხოვან საკითხებს.

საჭიროა აგრეთვე პროგრამაში აღნიშნულ იქნეს საკითხი სწავლა-განათლებაზე გაბატონებულ კლასის მონოპოლიის შესახებ. პროლეტარიატი ცდილობს ძალა უფლების ხელში ჩაგდებას და საზოგადოების გადახალისებას; ისეთი საკითხები, როგორიც არის ჩვენი მუშაკების, ადმინისტრატორების მომზადება, თამაშობენ უდიდეს როლს ძალა უფლების ხელში ჩაგდებამდე და ამის შემდეგაც. წინად ამ საკითხებს არ ქონდათ პრაქტიკული მნიშვნელობა, ეხლა კი მათი გადაწყვეტა ფრიად მნიშვნელოვანია.

შემდეგ საჭიროა ჩვენს პროგრამაში შეტანილ იქნას მუხლი კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოციალიზმის მომწიფების შესახებ. მარქსის განცხადება, რომ ახალი საზოგადოება უკვე არის მოთავსებული ძველი საზოგადოების გარსშიო—პირდაპირ კლასიკური განცხადებაა. მე-2-ე ინტერნაციონალის წარმომადგენლები ცდილობენ გამოიყენონ ეს ციტატა კონტრ-რევოლიუციონურ მიზნით, და ამიტომ ეს საკითხი ჩვენ კონკრეტიულად უნდა ჩამოვაყალიბოთ. ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარული რევოლიუცია განსაზღვრულ პერიოდში დაკავშირებულია საწარმოვო ძალთა დაცემასთან.

ჩვენი მოწინააღმდეგეები სურთ დაამტკიცონ, რომ ეს ხარჯები დიდია, რომ კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული სოციალიზმისათვის. მაგრამ ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ის განსხვავება, რომელიც არსებობს კაპიტალიზმის მომწიფებას შორის ფეოდალურ წესწყობილების დროს ერთის მხრივ და კაპიტალიზმის პირობებში მეორეს მხრივ.

განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალიზმი ვითარდებოდა ფეოდალურ საზოგადოების შიგნით, კაპიტალისტური საზოგადოების მთელი აპარატი დაწყებული მუშით და გათავებული ბურჟუათი უკვე ჩამოყალიბებული იყო ფეოდალურ საზოგადოების წიაღში. სოციალიზმს არასოდეს არ შეუძლია ამგვარათ მომწიფება ხელსაყრელ პირობებშიაც კი. შეუძლებელია, რომ მუშათა კლასის ხელში იყოს წარმოება უკვე კაპიტალისტურ საზოგადოების პირობებში. ეს უაზრობაა! ამის გამო სოციალიზმის მომწიფება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ძალიან განსხვავდება კაპიტალიზმის მომწიფებისაგან ფეოდალურ საზოგადოებაში. კაპიტალიზმს თავისი ადმინისტრაციული ელემენტები უკვე ფეოდალიზმის დროსაც ყავდა. პროლეტარიატი კი დაჩაგრულია არა მარტო ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურად და კულტურულადაც.

პროლეტარიატმა, რომელსაც არა ყავს თავისი ინჟინრები, ტეხნოლოგები და სხვ., ყველაფერი უნდა შეისწავლოს მაშინ, როდესაც იგი განახორციელებს თავის დიქტატურას, ვინაიდან მხოლოდ მაშინ იგი გაიხსნის გზას უნივერსიტეტებში შესასვლელად. მაგრამ ბურჟუაზიასთან შედარებით პროლეტარიატი ძალიან ჩამორჩენილია და ეს ჩვენ უნდა ვაღიაროთ.

პროლეტარიატს არ შეუძლია კაპიტალიზმის ჩარჩოებში მომწიფება. როგორც საზოგადოების ორგანიზატორი, იგი მომწიფდება მხოლოდ თავის დიქტატურის დროს. ამ პრინციპიალურ განსხვავებას სოციალიზმის და კაპიტალიზმის მომწიფებას შორის ჩვენ ხაზი უნდა გაუსვათ.

სოციალიზმში შეზრდა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საკითხს სოციალიზმში შეზრდის შესახებ. ამ პრობლემას დიდხანს არკვევდენ რევიზიონისტები, რომლებიც ფიქრობდენ, რომ კაპიტალიზმი ეზრდება სოციალიზმს, მაგრამ განსხვავება ჩვენსა და რევიზიონისტებს შორის მდგომარეობს იმ საკითხში, თუ როდის იწყება ეს შეზრდა.

რევიზიონისტები, რომელთაც არავითარი რევოლიუცია არ სურთ, ამტკიცებენ, რომ იგი იწყება უკვე კაპიტალიზმის წიაღში. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ იგი იწყება პროლეტარიატის მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, როდესაც იწყება განვითარების ხანგრძლივი პროცესი. ამ პროცესში წარმოების და განაწილების სოციალისტური ფორმები თანდათან პოულობენ ნიადაგს და თანდათან ისპობა კაპიტალისტური მეურნეობის ნაშთები, სანამ არ მოხდება კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებაში გადასვლა.

სოციალიზმის „ნაციონალური" ტიპები.

შემდეგ ორატორი გადადის საკითხზე სოციალიზმის ნაციონალურ ტიპების შესახებ, ფიქრობს რა, რომ სხვა და სხვა ქვეყნებში სოციალიზმს ექნება სხვა და სხვა გვარი ფორმები, ისევე როგორც წარმოების ფორმები განირჩევიან ერთი მეორისაგან. იგი აღნიშნავს განსხვავებას საფრანგეთის და ამერიკის კაპიტალიზმის შორის, გერმანიის და ინგლისის სინდიკატების და ტრესტების როლისა და მნიშვნელობის სხვადასხვაობას და სხვა. შემდეგ ეს განსხვავებანი თანდათან მოისპობა. მაგრამ სოციალისტური წარმოება განვითარდება მხოლოდ განსაზღვრულ ნიადაგზე და ამიტომ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თვითეული ქვეყნის სოციალისტურ წარმოებას ექნება განსხვავებული ნიშნები, ისევე როგორც არსებობს ეს განსხვავება კაპიტალისტურ წარმოებათა შორის, რომლისაგანაც პირველი მოიშვა. ჩვენ სრულიად გულწრფელად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ [illegible] სოციალიზმს სხვა ქვეყნების სოციალიზმთან შედარებით ექნება მეტი აზიური ხასიათი, ვინაიდან [illegible] სეთის მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობის შორის არსებული ურთიერთობა და ჩამორჩენილობ[illegible] ჰპოვებენ თავის გამოხატულებას სოციალიზმის ყველაზე ჩამორჩენილ ფორმებში.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 291.

პატარა ფელეტონი

აჟიოტაჟი

მოვარდა ზვირთად აჟიოტაჟი,
მას წინ დაუხვდა საბჭოთა კაცი!

სისინ-ჩურჩულით
მოძრაობს ენა,
მოწამლა გული,
დაახშო სმენა:

„მოგვეცით ლირა!
არ გვინდა ბონი!"
ანგელოზიც კი
გაირყვნა, მგონი,.

და „ცრურ მადლსა"
ლირებზე ჰყიდის...
ბუზოლდ, ხელიკოლდ და
მანჯილიდის

პრიკაზჩიკებმათ
მან აიყვანა,
ჩათ ააქოთეს
მთლად ეს ქვეყანა!..

მაგრამ ჩაუტყდათ
ყინული ზღვაში,
მო ტყუვდენ თავის
ბნელ გახზრახვაში

და უკუ იქცენ
ეს ობობები,
რადგან ყოველმხრით
გაისმა ხმები:

„ბრძოლა სასტიკი,
მაგ ავაზაკებს!
მიჰმართეთ „ჩუშკოპს",
„სამორგს", „გოსბანკებს"

აუშვით მუნით
„მხრჩოლავი გაზი",
ყველგან გაავლეთ
ხლართულა ხაზი.

ალარსად ჩისცეთ
მათ გასაქანი!
.. და ობობებსაც
აეწვათ კანი,

მიჰმართეს ისევ
თავის ძველ ბუნაგებს.
სად დღეს იყოფენ,
ალბათ, მონაგებს...

თნიხიძე

შექებული იყო მე-4 კონგრესზე. ამ დროს, ამბობს მომხსენებელი, მუშათა კლასს და მის ავანგარდს კომუნისტურ პარტიას არ უგძვნია თავი ისე ტკიცედ და შეკავშირებულად, როგორც ამჟამად, რაიც დამტკიცდა ამ კონგრესზე. თუ ზოგიერთი ქვეყნის კომუნისტურ პარტიებში როგორც მაგ. საფრანგეთისაში არსებობდა მე-4 კონგრ. სამდე რაიმე უთანხმოება, მე 4 კონგრესმა თავისი გავლენიან დადგენილებით მოსპო ის. კომინტერნი დღითი დღე იზიდავს თავისაკენ მუშათა კლასის ფართო ფენებსა და ცდილობს შექმნას გაერთიანებული მუშათა ფრონტი საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. შემდეგ ამხანაგი ეხება საერთაშორისო მდგომარეობას, იხილავს ლოზანის კონფერენციას, რომელზედაც ბურჟუაზიამ შესძლო ბლოკის შექმნა საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობა ვერსალის ზავით, რურის და გერმანიის რეპარაციის საკითხით გამოწვეული. საბჭოთა დელეგაციამ ოსმალეთის წარმომადგენლებთან სტიკათ უნდა დაიცვან სრუტეების თავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში შავი ზღვა და სრუტეები გადაიქცევა ბრიტანეთის სამხედრო მოქმედების ბაზათ. ასეთია დირექტივა კომინტერნის. კაპიტალის მზადება პროლეტარიატზე თავდასასხმელათ ხელს უწყობს ფაშიზმი, სოციალ-ნაციონალიზმი, ქურქი გახვეული, რეაქციონერი ბურჟუაზია, ჩინოვნიკები და მე-2 და 2½ ინტერნაციონალის მესვეურები. კომინტერნის ამოცანას წარმოადგენს ნიღაბი ახადოს ცრუ სოციალისტებს მთელი მუშათა კლასის წინაშე და დაანახოს მათი ნამდვილი სახე. შემდეგ მომხსენებელი ეხება აგრარულ საკითხს, რომლის შესახებ დირექტივები მიეცა ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს, რომელიც ხელს უწყობს გლეხობის დარაზმვას პროლეტარიატთან ერთად და მათ აქტიურად ჩარევას რევოლუციონურ საქმიანობაში. შემდეგ განმარტავს პარტიის პროგრამის პროექტს და ამასთანავე აცნობს კრებას ლოზუნგებს, მიღებულს კონგრესის მიერ იდეოლოგიურ და სამეურნეო ფრონტზე საბრძოლველათ. დასასრულს შეკითხვებზე ამხ. გასცა დამაკმაყოფ. პასუხი. გამოტანილ რეზოლუციაში კრება იწონებს და სავსებით წონიანათ სთვლის კომინტერნის დადგენილებებს.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აკოფოვმა. მან მკაფიოდ და მოკლედ გააცნო კრებას ყრილობის მუშაობის შინაარსი. არც ერთი ყრილობა არ დამთავრებულა ისე ერთსულოვნათ, როგორც ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა, ამბობს მომხსენებელი. ის აცნობს კრებას რამოდენიმე სიტყვით საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ ანგარიშს ნაწარმოებ მუშაობის შესახებ, მის სამეურნეო და საგარეო პოლიტიკას, რამაც ნათელჰყო ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობის მტრები იმდენათ უძლური არიან, რამდენათაც გამტკიცებულია გაერთიანება და სოლიდარობა ამიერ კავკასიის მშრომელთა შორის. საკავშირო საბჭოს მუშაობა ცნობილ იქნა სწორად და დამაკმაყოფილებლათ. ერთხმად გამოტანილ იქნა დადგენილება, ამბობს მომხსენებელი, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის აუცილებლობის შესახებ. განხილულ და დამტკიცებულ იქნა აგრეთვე ახალი კონსტიტუცია. მოხსენებიდან ნავთის წარმოების, ადგილების მოწყობის და სხვათა შესახებ გამოირკვა, რომ ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ დარგებს მეურნეობისას და შექმნა სათანადო ორგანოები მათ გასაუმჯობესებლათ.

განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ყრილობამ წითელი ლაშქრის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რისთვისაც შექმნა შეფთა ბიურო, რომელსაც დაევალა ამ მიმართულებით გაძლიერებული მუშაობა. კრებამ მოიწონა ყველა დადგენილებები ყრილობისა და სალამი უძღვნა ამიერ-კავკასიის აღმასკომს და სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობას, შეკრებილს წითელ მოსკოვში.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ს. მ—ნი.

ეკონომიური ცხოვრება

ბათუმის ბირჟა.

ბათუმი. 19 დეკ. ოფიციალური ბირჟა. ოსმალეთის ქაღალდი ლირა—215—225.000; ოქროს 10 მანეთიანი—2 300 000—2 400 000 მან. ქართული ბონებით; საბჭოთა ნიშნებით 1 მილიონი—15—16 000 ქართული ბონებით. დოლარი 175—180 პიასტრი, გირვანქა სტერლინგი 770—790 პიასტრი, ოსმალური ოქროს ლირა 800 810 პიასტრი, ოქროს—10 მ. 1070—1080 პ., 20 ფრანკი 235—245 პ., 20 ლირა—140—150 პიასტრი. არაოფიციალური ბირჟა—ოსმალეთის ქაღ. ლირა—240.000 მანეთი ქართული ბონებით.

სასოფლო სამეურნეო ფრონტზე

სათესლე სესხის აკრეფა

მაზრაში აკრეფილი უნდა იქნეს 5000 ფუთი ხორბალი და ქერი და 15000 ფუთამდე სიმინდი, რომელიც დარიგებული იყო თესლის კომიტეტის მიერ. ხორბლეულის აკრეფა დაიწყო ა. წ. სექტემბერში და ამჟამად აკრეფილია 31 პროც. აკრეფას ხელი შეუშალა სტიქიურმა უბედურებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაზრაში (წყალდიდობა.) წყალდიდობისაგან დაზიანდა ნათესების 25 პროც. სიმინდის აკრეფა დაიწყება 1923 იანვარში. სიმინდის მოსავალი კარგია და უნდა ვიფიქროთ, რომ სათესლე სესხი აკრეფილ იქნება მთელი 100 პროც. საწყობები სიმინდისათვის არსებობა სამ ადგილზე: სოფ. ონში, ცესის რაიონში და ჭრებალოში, მაგრამ ეს საკმაო არ არის და მიღებულია ზომები მათი მოწყობისათვის სხვა ადგილებშიც. მცხოვრებლებს სურთ სიმინდის ჩაბარება მარცვლეულით. მარცვლეულის დასაწმენდი პუნქტი მოწყობილია ონში.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებში აღდგენილ შესვლა-გასვლის თავისუფლების გამო, გაძლიერდა ამ რესპუბლიკებიდან საქართველოში საქონლის შემოყვანა. ამ გარემოებამ აიძულა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო სასანიტარო განყოფილება, რათა გაძლიერებით ზედამხედველობა შემოდენილ საქონელზე, რომლის მეობებითაც უმთავრესად შემოდის ჩვენში საქონლის ჭირი. ამის და მიხედვით წინადადება მიეცა ტაბახმელის ჭირის საწინააღმდეგო სადგურს, რათა გაადიდოს აცრული შრატის დამზადება. ნოემბერში საქონლის ჭირი აღრიცხული იყო 7 მაზრაში: ახალ-ქალაქის, გორის, ბორჩალოს, სიღნაღის, შორაპნის, ტფილისის და დუშეთის მაზრებში, რომლებშიც დაარსებული იქნა 28 ჭირის საწინააღმდეგო პუნქტი. თვის განმავლობაში აუცრეს ჭირის საწინააღმდეგო შრატით 2562 საქონელს, რის შედეგებიც იმდენად დადებითი გამოდგა, რომ საქონლის სიკვდილი არ აღემატებოდა 2 პროც. თვის ბოლოს ჭირის ეპიდემიამ იმდენათ დაიკლო, რომ 12 პუნქტში კარანტინები მოხსნილ იქნა და ბორჩალოს, სიღნაღის და შორაპნის მაზრებში კი სავსებით გაუქმებულია.

ჭირის საწინააღმდეგო აცრას, როგორც სოფლელებში მცხოვრებნი აღფრთოვანებით ხვდებიან. მოსახლეობა არამც თუ ითხოვს აცრას, არამედ იღებს წვლილს ჭირის საწინააღმდეგო სადგურების სასარგებლოთ. მიუხედავათ ამისა, ჭირის საწინააღმდეგო ბრძოლა ფერხდება, ვინაიდან მცხოვრებნი ყველგან ვერ ასრულებენ სათანადო კონკრეტიულ ზომებს და ცვას და საბეითლო პერსონალი კი თავის დროზე ვერ ახერხებს დახმარების გაწევას.

ციმბირის ჭირი, ენერგიული ზომების მიღების გამო მოსპობილ იქნა შორაპნის, ქუთაისის, ახალციხის, ახალ სენაკის და ახალ ქალაქის მაზრებში. ნოემბერში ეს ავადმყოფობა არსებობდა ზუგდიდის და ბორჩალოს მაზრების ერთ ერთ პუნქტში. ჭირის საწინააღმდეგო აცრამ ბორჩალოში, სადაც აცრილი იქნა 545 საქონელი, საუკეთესო შედეგები მოჰყვა; ციმბირის ჭირის შემთხვევას სრულიად არ ჰქონია ადგილი და იმ სოფლების მცხოვრებლებმა, სადაც მოახდინეს აცრა, გადაიხადეს მადლობა საბეითლო პერსონალს. ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინები მზადდება მიწად მოქმედების სახ. კომისარიატის საბეითლო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში.

საქონლის სხვა და სხვა ავადმყოფობათა შორის შენიშნულია ღორის ჭირი ქუთაისის მაზრაში ქ. სამტრედიაში, რაც მოსპობილი იქნა თავის დროზე მიღებულ ზომების საშუალებით.

ქრონიკა

ჯანმრთელობ. კომისარიატში

— [illegible] ტფილისში არსებული კერძო სამკურნალო სადგური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით გადავიდა ჯანმრთელობის კომისარიატის განკარგულებაში.

— **ახალი ტარიფი.** ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიმუშავა ჯამაგირების ახალი ტარიფი კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებისათვის, როგორც ტფილისში, ისე პროვინციისათვის, რაც ძალაში შევა პირველ დეკემბრიდან.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ყველა ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ ჩვენ გადავდივართ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხზე, რომლის გაშუქება ორნაირი თვალსაზრისით შეიძლება: რევოლუციონური ტაქტიკის და სტრატეგიისა ერთის მხრივ და ეკონომიური რაციონალობის თვალსაზრისით—მეორეს მხრივ. ეს ორი თვალსაზრისი ყოველთვის ერთნაირი არ არის, ტაქტიკის და სტრატეგიის შესახებ უკვე ილაპარაკეს ამხ. ლენინმა, ტროცკიმ და სხვ. მე შევეხები მხოლოდ ეკონომიური რაციონალობის საკითხს. მე ვამტკიცებ, რომ ყოველი ქვეყნის პროლეტარიატის წინაშე, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოქცეულა, სდგას მნიშვნელოვანი ეკონომიური ორგანიზაციული პრობლემები, რომელიც მდგომარეობს განსაზღვრულ პროპორციის დაცვაში წარმოების იმ ფორმებს შორის, რომელიც მას შეუძლია მოაწყოს, გეგმა შეწონილად გაუძღვეს და იმ ფორმებს შორის, რომლის გეგმა შეწონილად გაძღოლა მას თავიდანვე არ შეუძლია. თუ პროლეტარიატი სწორედ ვერ განსაზღვრავს ამ პროპორციას და თავის ხელში აიღებს იმაზე მეტს, რისი ძალებაც განსაზღვრულ პირობებში შეუძლია, მაშინ წარმოება კი არ განვითარდება, არამედ ჩამორჩენილობის გზაზე დადგებოდა. პროლეტარიატს არ შეუძლია ყველაფერის საკუთარი ძალებით მოწესრიგება. მას არ შეუძლია განდევნოს წვრილი მწარმოებელი და გლეხი მისი ერთპიროვნული მეურნეობითურთ. თუ იგი სისტემატიურად მიმართავს ასეთ ზომებს, მაშინ ის ხელს შეუწყობს მეურნეობის დაშლას.

გარდა ამისა, თუ პროლეტარიატს სურს ხელში ჩაიგდოს იმაზე მეტი რაც მას შეუძლია, მისთვის საჭირო იქნება ძალიან დიდი აპარატი მოხელეებისა და მოსამსახურეებისა, რომელთაც უნდა გასწიონ გლეხების და ხელოსნების მაგიერობა მათ ეკონომიურ ფუნქციებში. ეს კი გამოიწვევს ისეთი ბიუროკრატიული აპარატის შექმნას, რომ მისი შენახვა გაცილებით მეტი დაჯდება, ვიდრე წვრილი წარმოების ანარქიულ ფორმის დროს.

ამის შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ პროლეტარული სახელმწიფოს მთელი ეკონომიური აპარატი გახდებოდა არა საწარმოო ძალთა განვითარების, არამედ მათი შებორკვის ფორმად.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ არის მხოლოდ რუსული მოვლენა.

ამიტომ მე ვამტკიცებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის ერთის მხრივ წმინდა რუსული მოვლენა, მაგრამ მეორეს მხრივ მას შეუძლია საზოგადო მოვლენათაც გახდეს. და ის არის არა მარტო სტრატეგიული უკან დახევა, არამედ არის დიდი ორგანიზაციულ-სამეურნეო პრობლემის შემადგენელი ნაწილი და სახელმწიფო წარმოების სხვა და სხვა დარგთა და ფორმებს შორის პროპორციის პრობლემისა, იმ დარგთა შორის, რომელიც ჩვენ რაციონალურად უნდა მოვაწყოთ და იმ დარგთა, რომლის გეგმაშეწონილი მოწყობა ჩვენ არ შეგვიძლია.

მომხსენებელი მოიგონებს იმ ლოზუნგებს, რომელსაც რუსეთში ხმარობდენ ძველი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, როგორიც მაგ. პურით მოვაჭრე ძალების გარეკვა და სხვ. თუ ჩვენ ამას ჩავდიოდით, ეს აიხსნება ჩვენი გამოუცდელობით და უცოდინარობით. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საკითხს მე საერთაშორისო საკითხათ ვსთვლი.

რა თქმა უნდა თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში ზემო აღნიშნული პროპორციები სხვა და სხვა გვარი იქნება. რასაკვირველია ჩვენ ბევრი გლეხები და წვრილი მწარმოებელნი გვყავს. მაგრამ თუ ჩვენ ავიღებთ სამრეწველო ქვეყნებს, როგორიც არის გერმანია და ამერიკაც კი, იქაც დაუყოვნებლივ წამოიჭრება იგივე პრობლემები. განა შესძლებთ თქვენ დაუყოვნებლივ, თავიდანვე დარაზმოთ ამერიკელი ფერმერები? არავითარ შემთხვევაში. ამ ფერმერებმა უნდა შეინარჩუნონ სამეურნეო მოძრაობის თავისუფლება. იგივე ითქმის გერმანიის შესახებაც. თქვენ გგონიათ, რომ ძლევამოსილი პროლეტარიატი შესძლებს დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს გლეხის მეურნეობა თუნდაც ბავარიაში? არავითარ შემთხვევაში არა. გლეხი, რომელსაც თქვენ პურს მოსთხოვთ, სამაგიეროთ მოითხოვს მეურნეობაში სრულ თავისუფლებას. და ამიტომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრობლემა გერმანიაშიც დაისმება. თქვენ მოგიხდებათ ზედმიწევნით აწონ დაწონოთ ურთიერთობა სოციალისტურ, „შებოჭილ" და კერძო „თავისუფალ" მეურნეობის შორის.

ეს პრობლემა დაკავშირებულია მეორე პრობლემასთან. რევოლუციის დროს ეკონომიური რაციონალების პრინციპი სავსებით ეწინააღმდეგება პროლეტარიატისათვის მეტად მნიშვნელოვან პრინციპს, წმინდა პოლიტიკურ ბრძოლის მიზანშეწონილების პრინციპს. თუ თქვენ აწყობთ ბარიკადებს და ამისათვის სპობთ ტელეგრაფის სვეტებს, ეს არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებს საწარმოო ძალთა აღორძინებას. მსხვილ ბურჟუაზიას თავისი აგენტები ყავს წვრილ ბურჟუაზიაში, უკანასკნელი მოქმედებს პირველის დავალებათა მიხედვით და ამიტომ პროლეტარიატს მხოლოდ ერთი გზა-ღა დარჩენია—რათაც არ უნდა დაუჯდეს დაამარცხოს ეს აგენტურა. ამ ბრძოლის დროს პროლეტარიატი იძულებული იქნება გამოაცალოს წვრილ ბურჟუაზიას მისი ეკონომიური ბაზა.

მაგრამ რაც ეკონომიური თვალსაზრისით მიზანშეუწონელია, შესაძლებელია აუცილებელი გახდეს სამოქალაქო ომის პირობებში. ამ ორ ურთიერთ წინააღმდეგ პრინციპებს შორის უპირატესობა პოლიტიკური მიზანშეწონილების პრინციპს ეკუთვნის, ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია დავამყაროთ სოციალიზმი თუ არ უზრუნველვყავით პროლეტარული სახელმწიფო. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა გადავაცილდეთ აუცილებლობის საზღვარს და უნდა ვერიდოთ ყოველ ზედმეტ ეკონომიურ მიზანშეუწონილობას.

საერთო ტაქტიკური ამოცანები.

გადავდივართ 4-ე მუხლზე, რომელშიაც ლაპარაკია ჩვენ საერთო ტაქტიკურ ამოცანების შესახებ. პირველ ყოვლისა შევეხები კოლონიების საკითხს, რომელსაც ჩვენ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვიდრე აქამდე. (ხმები: „სრული სიმართლეა") ჩვენ უნდა განვდევნოთ პროგრამიდან ის არისტოკრატიული სული, რომელიც ეჩხირება კაუცკის და კომპანიის წიგნებს. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ მსოფლიო რევოლუციის პროცესში კოლონიალურ ქვეყნების რეზერვებს აქვთ უმთავრესი მნიშვნელობა.

მეორე ტაქტიკური საკითხია—ქვეყნის თავდაცვის საკითხი. ეს პრობლემა ნათელი იყო კომუნისტებისათვის ომის დაწყების დღიდანვე და მისი გადაწყვეტა მდგომარეობდა ქვეყნის თავდაცვის უბრალო უარყოფაში.

ეხლა საკითხი ასე მარტივი აღარ არის. პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი ერთბაშად სცვლის სურათს. მოვიყვან ერთ მაგალითს. როდესაც ჩვენ ვიყავით ოპოზიციონური რევოლუციონური პარტია, ჩვენ ერთი წუთითაც ვერ შევურიგდებოდით იმ აზრს, რომ მიგვეღო რაიმე დახმარება ბურჟუაზიულ სახელმწიფოსაგან, ეს სირცხვილი იქნებოდა და სახელს გაუტეხავდა ჩვენს საქმეს. მაგრამ მას შემდეგ რაც პროლეტარული სახელმწიფო არსებობს, დასაშვებია სესხის აღება ბურჟუაზიულ სახელმწიფოსაგან. ამავე მდგომარეობაშია საკითხი ქვეყნის თავდაცვის შესახებ. როდესაც ბურჟუაზია ლაპარაკობს ქვეყნის თავდაცვის შესახებ, იგი გულისხმობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აპარატის დაცვას, ხოლო როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ქვეყნის თავდაცვაზე, ჩვენ ვგულისხმობთ პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვას.

ჩვენი პროგრამის ჩამოყალიბების დროს ნათლად უნდა ვთქვათ, რომ პროლეტარული სახელმწიფო უნდა იქნეს დაცული არა მარტო მოცემულ ქვეყნის პროლეტარიატის, არამედ დანარჩენ ქვეყნების პროლეტარიატის მიერაც. პრაქტიკული მიზანშეწონილობის და მსოფლიო პროლეტარიატის სტრატეგიის თვალსაზრისით ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული პროლეტარული სახელმწიფოს დასაცავად, მისი გაძლიერების მოსაპოვებლად და პროლეტარული რევოლუციის ბაზის გასაფართოებლად.

პროგრამის სტრუქტურა.

ეხლა მე შევჩერდები პროგრამის საერთო არქიტექტონიკაზე. პროგრამა ორი ნაწილისაგან უნდა იყოს შემდგარი. საზოგადო ნაწილი, რომელიც ყველა ქვეყნებისათვის იქნება გამოსადეგი და სპეციალური ნაწილი, რომელიც შემუშავებული იქნება ცალკე ქვეყნებთან და, თუ გნებავთ, მესამე ნაწილიც, რომელიც უნდა შეიცავდეს ცალკე პარტიების პროგრამას.

ეს უკანასკნელი უნდა ეხებოდეს ხშირად ტაქტიკურ საკითხებს და უნდა იცვლებოდეს თუნდაც ყოველ ორ კვირაში.

ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ისეთი ტაქტიკური საკითხები, როგორიც ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, „ნაწილობრივ უფლებათა ხელში ჩაგდება" გერმანიაში, აგრეთვე უნდა იქნას შეტანილი პროგრამაში. ორატორი ფიქრობს, რომ ამგვარი აზრი არის ოპოზიციონიზმის გამოხატულება.

თეორეტიულ ნაწილში უნდა იქნას შეტანილი შემდეგი განყოფილებები: თეორეტიულ სოციალიზმის საზოგადო ანალიზი, იმპერიალიზმის ანალიზი, კაპიტალიზმის დაშლა, და შემდეგ სოციალისტურ რევოლუციის ხანის ანალიზი.

პროგრამის მეორე ნაწილში ჩვენ უნდა განვმარტოთ კომუნისტური საზოგადოების ცნება; აუცილებლად საჭიროა განმარტებულ იქნას ის, თუ რას წარმოადგენს კომუნიზმი, რაში მდგომარეობს მისი გარდამავალი სტადიების განსხვავება და სხვა.

მესამე ნაწილი უნდა შეიცავდეს განყოფილებას ბურჟუაზიის დამხობის და პროლეტარიატის ძალა უფლებისათვის ბრძოლის შესახებ.

მეოთხე ნაწილი უნდა ეხებოდეს სტრატეგიულ საკით[illegible] რომ არა ისეთს, როგორიც არის [illegible] მუშათა მთავრობის [illegible] რამედ ძირითადი საკითხებს, [illegible] მაგ., დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატებთან და პროფკავშირ[illegible]

სხვადასხვა პროგრამების კრიტიკა

სიტყვის დანარჩენ ნაწილში, ამხ. ბუხარინი აღნიშნავს რა, რომ თვითეული ქვეყნის ნაციონალურ პროგრამების გარჩევა მის ამოცანას არ შეადგენს, გადადის სხვადასხვა წერილების და გერმანიის, ბულგარეთის, იტალიის პარტიების პროგრამების პროექტების კრიტიკაზე.

იტალიის პარტიის საპროგრამო კომისიაში გამართულ დისკუსიაზე, ამბობს მომხსენებელი, ჩემს თვალსაზრისს იზიარებს, მაგრამ იგი უარყოფს პროგრამაში ტაქტიკურ საკითხების შეტანას, იმ არგუმენტით, რომ ინტერნაციონალს არ შეუძლია თავზე მოახვიოს თავისი კრედო სხვადასხვა პარტიებს, რასაც მე არ შემიძლია დავეთანხმო. რაც შეეხება გერმანიის პარტიის პროექტს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ იგი მშრალი მეცნიერული ენით არის დაწერილი და ძალიან კონკრეტულად აყალიბებს თვითეულ დებულებასო. ეს აღწერილობითი და კონკრეტიული—ისტორიული ნაწილი ძალიან აფართოებს გერმანიის პროექტს და უფრო მეცნიერულ საზოგადოების მანიფესტს მოაგონებს ვიდრე პარტიის პროგრამას. გარდა ამისა ეს პროექტი შედგენილია ზედმიწევნით ევროპიულად და თუ გნებავთ, გერმანულად, ვინაიდან იგი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს საშუალო ევროპის და კერძოთ გერმანიის პირობებს.

ბულგარეთის პროგრამა აგრეთვე ძალიან გრძელია და როგორც ინტერნაციონალური პროგრამა ძალიან კონკრეტიული. გარდა ამისა პროგრამის სტრუქტურა ზედმიწევნით სწორი არ არის, ვინაიდან მასში არეულია საზოგადო საკითხები ბალკანეთის საკითხებით.

დასკვნაში მომხსენებელი გამოსთქვამს სურვილს, რათა საპროგრამო საკითხი სერიოზულად იქნას განხილული ყველა სექციებში, და იმედოვნებს, რომ 5-ე კონგრესზე მიღებული იქნება სრული, რევოლუციონური, ორთოდოქსალურ მარქსისტული თეორია (ტ. ბ.).

მუშათა ცხოვრება

ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქართველოს ხაზზე არსებულ მშრომელთა არტელ „კომუნა"-ს წევრების საყურადღებოთ

ამხანაგებო! ჩვენ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო ჩვენ მიერ 1921 წელს 27—თებერვალს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსთან, ვადა გასულის მიმდინარე თვის დამლევს და ჩვენ ვიცით, რომ თვითეული თქვენგანი დაინტერესებულია გაიგოს, თუ როგორი იქნება მომავალი ჩვენი მუშაობის პირობები.

ამხანაგებო! თქვენ იცით, რომ ჩვენ ამჟამად პროფესიონალური კავშირის წევრები ვართ და ვემორჩილებით ყოველივე მის დირექტივებს. და აი სწორედ ჩვენი კავშირის ცენტრალური გამგეობის და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით პასუხისმგებელი არტელები უქმდებიან, რადგან პროფკავშირის წევრობას ეწინააღმდეგება არტელური სისტემა და ჩვენ ვრჩებით პროფესიონალური კავშირის წევრებათ. ჩვენი კავშირის დავალებით და ჩვენი თანხმობით ხელშეკრულებას დებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსთან სახელმწიფოებრივი ორგანო „ტრამოტი", რომელიც დაიკავებს ჩვენთან მჭიდრო კავშირს და დაგვაკმაყოფილებს იმ ხელფასით, რომელიც შემუშავებული იქნება ჩვენი კავშირის მიერ.

ამხანაგებო! არ იფიქროთ, რომ ჩვენი ერთი წლის შეუდარებელი ნაყოფიერი და ერთგული მუშაობა დაუფასებელი დარჩეს. ის წითელი ხაზით იქნება აღნიშნული რესპუბლიკის რკინის გზის აღმშენებლობითი აქტში. ეხლა კი ცოტათი იცვლება ჩვენი მუშაობის პირობები იმით, რომ თუ წინეთ ჩვენ პასუხისმგებელნი ვიყავით უზრუნველყოფილი თანხით რკინის გზის მიმართ და ქვეყანას დავუმტკიცეთ ჩვენი ნაყოფიერი მუშაობა, მომავლისთვის ჩვენ გვმართებს ორმაგი ენერგიით და პატიოსნებით მუშაობა, რადგან ჩვენი თავდები იქნება სინდისი, მუშური და პროფესიონალური დისციპლინა.

მაშ გაუმარჯოს ამხანაგებო მომავალ ჩვენს მუშაობას, გაუმარჯოს წითელ პროფესიონალურ კავშირებში შეკავშირებულ მუშებს.

საქართველოს რკინის გზის არტელის გამგეობის თავმჯდომარე ნ. კობაძე.

მეორე მექანიკური ქარხანა

ამ ქარხანაში ვითვლებით 26 მუშა მოსამსახურენი. შრომის დაცვის კანონები მთლიანად არ ტარდება ცხოვრებაში, ჯამაგირს თავის დროზე ვერ ვღებულობთ. ხშირათ 2—3 თვეობითაც კი გვიგვიანებენ. სპეც-ტანისამოსები დღემდე არ დაურიგებიათ. პირსახოცები არ გვაქვს. სათანადო თანხა უკვე გადაცემულია პირსახოცების შესაძენათ, მაგრამ მის ყიდვას არავინ ფიქრობს. მატერიალურათაც ძლიერ ცუდ პირობებში ვიმყოფებით. ჩვენი ტარიფი შედარებით სხვა ფაბრიკა ქარხნების ტარიფთან ძლიერ მცირეა. კულტ-მუშაობა მოისუსტებს. განზრახული იყო სამკითხველოს გახსნა, მაგრამ უბინაობის გამო შეფერხებულია. საერთოდ შესაფერისი ბინის უქონლობა ძლიერ აფერხებს კულტურულ მუშაობას. მუშები მოკლებული ვართ გაზეთს, თუმცა კანტორაში მოდის ერთი გაზეთი, მაგრამ ჩვენ მით ვერ ვსარგებლობთ.

აჭ უხა.

„ცენტროტრამვაის" ცენტრ. გარაჟი

ამ დაწესებულების მუშებს დადებული გვაქვს კოლექტიური ხელშეკრულება. ხელშეკრულება მთლიანად ვერ ტარდება ცხოვრებაში. ადმინისტრაცია ჩვენგან კი მოითხოვს ხელშეკრულების მტკიცედ გატარებას ცხოვრებაში. რამოდენი ხანია გვპირდებიან სპეცტანისამოსებს, მაგრამ დაპირებას დასასრული არ მიეცა. აგრეთვე ჩვენთვის აუცილებელია საწარმოო ხელთათმანები. ეს მოთხოვნილება ხელშეკრულებაში უკვე იყო აღნიშნული, მაგრამ სისრულეში დღემდისაც არ არის მოყვანილი. მეტად აუცილებელია აგრეთვე დაწესებულებას ყავდეს ექიმი. ჩვენი სამუშაოს ხასიათი ისეთია რომ ადგილობრივათ ექიმის ყოლა აუცილებელია, თორემ ხშირათ უბედური შემთხვევების დროს საათობით საჭიროა ექიმის მოსაძებნათ. კარგს იზამს ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა და აღმოაფხვრას შრომის დაცვის სადაც ჯერ არს.

მომუშავე.

სამხედრო ხელოსნის ქარხანაში

ქარხანაში ამ ერთ ხანს გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. გარდა ხელოსნურ დამუშავებისა ვეწევით აგრეთვე სადურგლო საქმეებს, როგორიც არის მაგიდების, სკამების და საწერი ნივთების დამზადება. ყველა ჩვენ მიერ გაკეთებული ნივთები მიდის წითელ არმიელთა საჭიროებისათვის. წარმოებას ეტყობა გაცხოველება. ამას ხელს უწყობს ჩვენი ნაწარმოების დიდი მოთხოვნილება. ჩვენს ქარხანაში დამზადებული მასალა ხმარდება არა მარტო საქართველოში არსებულ სამხედრო უწყებებს, არამედ ამიერ კავკასიისაც. წინათ ჩვენი მატერიალური მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი იყო. პირობების გაუმჯობესების მიზნით შევქმენით არტელი, რისთვისაც გავიღეთ განსაზღვრული თანხა. მართლაც არტელმა ჩვენს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა. არტელის წყალობით ჩვენი მატერიალური პირობები გაუმჯობესდა, საშუალო მუშა ღებულობს თვიურად 5—6 მილიონს. გვყავს სამი კაცისაგან შემდგარი ქარხნის კომიტეტი. არ შეგვიძლია უდიდესი მადლობით არ მოვიხსენიოთ კომიტეტის შრომა ჩვენდა სასარგებლოთ. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჩვენი უფლებები შელახულიყო და კომიტეტს ხმა არ აღემაღლებინოს. დაუფასებელია კომიტეტის მუშაობა კულტურულ სფეროშიც; ამ მხრივ კომიტეტი განსაკუთრებულ უნარს იჩენს. არსებობს წიგნთსაცავი სამკითხველო, საჭიროა მისი შევსება წიგნებით. კარგს იზამს კავშირი, თუ მოგვაწვდის ახალ ახალ წიგნებს. განზრახულია ამ მოკლე ხანში გაიხსნას კლუბი, სადაც მოთავსებული იქნება სამკითხველოც. სათანადო ბინა უკვე გამონახულია. მუშები გონებრივათ შედარებით მაღლა დგანან.

მუშ.

მაშვიდე საბჭოთა ელექტრო სადგური

ამ სადგურში ცოტა უფრო ცუდი პირობებია. ჩვენი მატერიალური მდგომარეობა ძლიერ ცუდია: ხელფასი მცირეა, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როდესაც ჩვენ თვითონ ვიცით, რომ წარმოებას შემოსავლის წყარო ნაკლებათ აქვს. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ სადგურის დღევანდელ მდგომარეობას და ვცდილობთ მთელი შეგნებით წარმოების შესაფერ დონეზე დაყენებას.

სამუშაო შენობაში არ არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური მოთხოვნილებანი, არც ადმინისტრაცია აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას. შრომის ინსპექციის მოთხოვნილებანი სისრულეში არ მოდის. რამდენჯერმე წარმოუდგინა შრომის ინსპექციამ ფაქტიურებით მუშების ჩაცმის შესახებ მოთხოვნილება, მაგრამ დღემდე ის არ არის შესრულებული. ჩვენ გვყავს კომიტეტი, მაგრამ, უნდა ითქვას, მისი მუშაობა ძლიერ მოიკოჭლებს. ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ის ყურადღებას არ აქცევს. სადგურების სამმართველოსთან დადებული გვაქვს კოლექტიური ხელშეკრულება, ნაწილობრივათ ტარდება ცხოვრებაში, რისაც უსახსრობას აწერენ. ერთმა ნაწილმა მუშებისამ უკვე მიიღო 13 ცალი ტანისამოსი, ხოლო მეორე ნაწილს კი არ მიუღია. ჩვენ მდგომარეობას აუარესებს შეშის საკითხის მოუწესრიგებლობაც. დღემდე გვპირდებოდენ შეშის მოცემას, მაგრამ დღეს კი უარი გვითხრეს და არც ფული მოგვცეს.

ადგილობრივი.

რკინის გზაზე.

— **ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა.** ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის აღმშენებელ კომიტეტის მოწოდებამ მრავალი პროლეტარულ ორგანიზაციის და მუშა-გლეხ სახელმწიფო დაწესებულების მხრიდან მხურვალე გამოძახილი ჰპოვა. ამ დღეებში ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის აშენების საქმისათვის საგრძნობი წვლილი გაიღო მოძმე საბჭოთა რესპუბლიკამ—აზერბეიჯანმა. საქ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულის ამხ. სარჯველაძის საშუალებით აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის კომიტეტს გადმოსცა 610 ფუთი დაწმენდილი ნავთი, 1400 ფუთი მაზუთი, 150 ფუთი ბენზინი და 100 ფუთი მანქანის ზეთი. ამ მასალების საერთო ღირებულება უდრის 1896 მან. 45 კ. ოქროთი, ანუ 570.000 000 მანეთს ქართული ბონებით.

შრომის კომისარიატში

— **საკონფლიქტო კომისიის მეორე სესია.** საკონფლიქტო განყოფილების მიერ კონფლიქტების რიცხვის გადიდების გამო მოწყობილ იქნა საკონფლიქტო კომისიის მეორე სესია. ნოემბერში გაირჩა 32 კონფლიქტი, აქედან 23 კონფლიქტი შემოსულა პროფკავშირის წევრებიდან, ზემოხსენებული 32 კონფლიქტებიდან 15 ეხება სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებს, 3—საზოგადო დაწესებულებებს ხოლო დანარჩენი 14—კერძო პირებს, ამათგან ერთი კონფლიქტი გაირჩა საკონფლიქტო წესით 5—შეთანხმებით და 5—უშედეგოთ. აღნიშნული 32 კონფლიქტი გადაწყდა მუშების სასარგებლოთ.

— **ადმინისტრატიული სახდელის საქმეების შესახებ.** საკონფლიქტო განყოფილების მიერ გამოშუშავებულ იქნა ცირკულიარი, შრომის მოწესრიგების დარგში პროფკავშირების [illegible] გამო, მათი კომპეტენციიდან ისეთი კონფლიქტების ჩამოშორების შესახებ, რომლებიც თხოულობენ ადმინისტრატიული წესით გარჩევას.

— **კოლექტიურ ხელშეკრულებათა აღრიცხვა.** ნოემბერში გატარებულ იქნა რეგისტრაციაში 31 კოლექტიური ხელშეკრულება და ხუთი სატარიფო შეთანხმება, რომლებიდანაც 26 კოლექტიური ხელშეკრულება და 2 სატარიფო შეთანხმება ეკუთვნის სახელმწიფო წარმოებებსა და დაწესებულებებს.

— [illegible] განყოფილების მიერ შემუშავებული იქნა დადგენილების პროექტი [illegible] და სამედიატორო სასამართლოს მოწყობის შესახებ.

სხვა და სხვა.

— **ქალაქის მცხოვრებთა კვების გამორკვევა.** დაიწყო ქალაქის მცხოვრებთა კვების გამორკვევა, რომელიც გაგრძელდება 4 დღეს. გამოკვლევაზე მუშაობს 100 კაცი. მუშაობას ხელმძღვანელობს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

— **ამერიკულ სასადილოების დახურვა.** ამერიკულ სასადილოები მუშა მოსამსახურეთა და სასადილოების ადმინისტრაციის შორის მომხდარ უთანხმოების გამო შრომის ხელფასის შესახებ—ამავე საზოგადოების კომიტეტმა გასცა განკარგულება, დახუროს ამერიკული კომიტეტის ყველა სასადილოები ტფილისში.

— **მუშათა ფაკულტეტი.** ტფილისის პოლიტეხნიკუმთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის ერთი წლის არსებობის შესრულება აღნიშნული იქნა შესაფერი დღესასწაულით. ფაკულტეტს მოუვიდა მრავალი მისალოცი დეპეშები, სხვათა შორის მოლოცვა მიიღო მოსკოვის მუშათა ფაკულტეტის „კარლ მარქსის" სახელობის მსმენელებისაგან.

ხელოვნება

სახალხო სახლი

კვირა, 17 დეკემბერი.

„დამხრჩვალი წალკოტი"—ნ. გირგველის.

რეჟისორი შალვა დადიანი.

აღსანიშნავია ახალგაზრდა დრამატურგი ნ. გირგველი. მისი ახალი პიესა „დამხრჩვალი წალკოტი" შალვა დადიანის რეჟისორობით დაიდგა სახალხო სახლში კვირას, 17 დეკემბერს. გირგველი იბსენის სკოლის მიმდევარია და მისი ახალი შრომა ჩვენს დრამატურგიაში უთუოდ მარგალიტია. „დამხრჩვალ წალკოტში" ორი სული იბრძვის ახალი (ჩოთას სახით) და ძველი (დიმიტრის სახით), და ამ ორი ძალის ჭიდილი ძველის [illegible] გათავდება. პიესა მაღალ ნიჭით თავიდან დიდ დაკვირვებას მოითხოვს, და წერილია ახალი ფორმით, ზედმიწევნით ფსიხოლოგიურია. ავტორმა გაიმარჯვა, მაგრამ მასთან ერთად გამარჯვებულია რეჟისორიც. ასეთი დაკვირვებით დადგმული, [illegible] მიღწევანი და მთლიანობა ამ სეზონში არ გვინახავს. პიესაში ჩვენ ვიხილეთ სამი სტუდიელი და არ შეგვეძლო მათზე არ შევჩერებულიყავით. სტუდიის, რომ დიდი მომავალი აქვს ამაში სავსებით დავრწმუნდით ამ საღამოს. მთავარ როლს თამაშობდა სტუდიელი ა. ხორავა, რომელიც ჩვენ ძველი ნაცნობი აღმოჩნდა. ჩვენ გვქონდა მასზე ერთი რეცენზია და გვეხარობდა, [illegible] დარგავს. ხორავას (დიმიტრი) სახით ქართულ თეატრს ერთი თვალსაჩინო ძალა შეემატება. მისი ხმა, მიმიკა და დრამატიული განცდები მომავლის ძლიერ თვისებებია. საჭიროა პლასტიკის გავლა და ხმის დაყენება. ზოგჯერ ხაზზე ძალზე დაწოლა არაბუნებრივი გამოდის, ეს დეფექტები სტუდიაში გასწორდება. პირველად ვნახეთ სცენაზე სტუდიელი წულუკიძე. აღსანიშნავია როგორი გამოძებნეს ეს ქალი ვენერას (დიმიტრის ცოლი) შესასრულებლად. წულუკიძეს სრულიად ავიწყდებოდა, რომ ის სცენაზე იყო და მისი გულუბრყვილო ლაპარაკი, უბრალო არა არტისტიული სიარული, მაყურებლებში აღფრთოვანებას იწვევდა. ნათლად სჩანდა, რომ ადამიანს არტისტებს სცენა და უმუშავნია როლზე. წულუკიძის მხატვრულმა თამაშმა ისე მოიჯადოვა ხალხი, რომ ქართველი მსახიობის სამომავლო გამარჯვების იმედი გაასკეცებით ჩაისახა ყველას გულში. ხორავას და წულუკიძეს ეჯიბრებოდა მესამე ნორჩი სტუდიელი ნ. გოძიაშვილი. სად თუ კიდევ არიან სტუდიაში ასეთი ძალები? თავისებური [illegible] ტიპი შექმნა ს. [illegible] და ლოთი ექიმის [illegible]. ადამოვ მ. პირველმა როგორც ყოველთვის როლი არ იცოდა, რაც მეტს ავნებს, რომ იმაზე უფრო ცდილობს [illegible]. მონაწილეობდნენ: ნინიძე (პოლინა), ლითანიშვილი (პიხელი), და მეტრეველი (ჩოთა). ასათიანის ქალი სავსებით ჩასწვდა ლილას სულისკვეთებას და მთლიანი ტიპი შექმნა. დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. საერთოთ პიესამ კარგათ ჩაიარა და გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ უფრო მაღალ ტონით დაეწყოთ. ეს უკვე რეჟისორის ბრალი არ არის, აქ მსახიობია დამნაშავე.

აღსანიშნავია ფრიად საწყენარი მოვლენა, თეატრის ადმინისტრაცია თითქოს უბრალო მაყურებელია და არავითარ ზომებს არ იღებს იმ უწესობების მოსასპობათ, რაც თეატრში წარმოდგენის დროს ხდება ხოლმე. პიესის მიმდინარეობის დროს ისეთი ამბავი ატყდება ხოლმე, რომ ლაპარაკი არ ისმის, რაც დიდათ მოქმედებს მსახიობზედაც. აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს ამას!

ხელოვანი.

—

— **ქართული ოპერის წარმოდგენა მოსკოვში.** კომპოზიტორმა ვ. დოლიძემ, მიიღო დეპეშა მოსკოვიდან მე-2 სახელმწიფო საოპერო თეატრის გამგეისაგან, რომლითაც ის ატყობინებს ვ. დოლიძეს, რომ მოსკ. საოპერო თეატრი დგამს მის ოპერებს—„ლეილა" და „კოტეს და ქეთოს", აღნიშნული თეატრის გამგე სთხოვს დოლიძეს დაესწროს ამ წარმოდგენებს და გაუწი-

ის ხელმძღვანელობა. ვ. დოლიძემ გაუგზავნა თეატრის გამგეობას სამადლობელი დეპეშა, რითაც აგრეთვე ატყობინებს, რომ მას სამწუხაროდ არ შეუძლია შეასრულოს მათი სურვილი, რადგან ამ ჟამად მუშაობს ახალ დიდ ოპერაზე „ცისანა“ ზე.

— **პაოლო იაშვილის მოხსენება.** კვირას, 21 დეკემბერს, ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ს/რ. ახალი მწერლობის კავშირის მორიგი საღამო. მოხსენებას წაიკითხავს პაოლო იაშვილი შემდეგ თემაზე: ევროპაში ახლად განთქმული და კონკურსის პრემიით დაჯილდოებული რომანი „ბატუალა“ რენე მარანმასი“. დასაწყისი 7 საათზე.

— **სახალხო სახლი 1922 წ.** დღის, 22 დეკემბერს პოლიტ. განათლ. ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ ქართულ სცენაზედ ახალი ნ. გერგესელის ორიგინალური დრამა „დამზრალი წალკოტი“. შემდეგ დადგენილ რიგისობრობით—კვირას 24 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში ნ. ნაკაშიძის პიესა „კაცის სამართალი“.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 22 დეკემბერს პირველად განახლების შემდეგ ალიხანოვი, სარაჯიშვილი, ინაშვილი და სხ. მონაწილეობით „ტოსკა“ დირიჟორობს ვანო ფალიაშვილი.

— „**ოქტომბრის რევოლუციის**“ **სახელობის მუშათა კლუბი** სამშაბათს, 19 დეკემბერს, „ოქტომბრის რევოლუციის“ სახელობის მუშათა კლუბში გაიმართა დიდი საღამო-წარმოდგენა. პირველად მოხდა ლიტერატურული გასამართლება წითელ არმიელების მიერ—„დეზერტირი ჯარის კაცი“. შემდეგ დ. კობახიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა ერთ მოქმედებიანი პიესა. დასასრულ დაიდგა ცოცხალი სურათი, რომელიც გამოხატავდა რევოლუციას—გამარჯვებულ მუშების, გლეხების და წითელ არმიელების კავშირს. სურათი შესრულებული იქნა შესაფერ რევოლუციონურ მუსიკის კითხვით და „ინტერნაციონალის“ ჰიმნით, მონაწილეობდნენ მხოლოდ წითელ არმიელები. საღამო კარგად ჩატარდა და დიდი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე. საერთოდ ეს კლუბი ერთად ერთი კლუბია, სადაც სწარმოებს ინტენსიური მუშაობა და მოსალოდნელია დიდი ნაყოფი გამოიღოს მუშების და განსაკუთრებით წითელ არმიელების გონებრივად განვითარების საქმეში.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა — „ტოსკა“ ალიხანოვის, ლეოცკის, ინაშვილის, დემიანენკოს და სხვათა მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—[illegible] წარმოდგენა „[illegible]“. სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა. 1-ლი სახელმწიფო კონსერვატორია—მუსიკალურ-მხატვრული საღამო სუმბათაშვილ იუჟინის მონაწილეობით. 2-რე სახელმწიფო კონსერვატორია—პირველი კამერული საღამო ბოკოვას, ისიცკის და სხვათა მონაწილეობით. ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა ფრანგული ჭიდაობით.

პროვინციაში

პასუხისმგებელი კორესპონდენტი თუ უპასუხისმგებლო მაგინებელი

(წერილი ლანჩხუთიდან)

გაზ. „კომ.“ № 271 მოთავსებულია კორესპონდენცია ლანჩხუთიდან, ვინმე „კოლეონორას“-ი. თვით კორესპონდენცია ისეა აგებული, გეგონებათ რომ აქ საქმე ეხება სულ სხვა რამეს, [illegible] საბჭოთა სისტემის დაცვას და მის ცხოვრებაში სისხლით და უმტკივნეულოთ გატარებას. მართალია, არ არის საიდუმლო ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ალმასკომები, ჯერაც, მიუხედავათ ერთი წლინახევრის პრაქტიკისა, ვერ დგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე. ეს შესაძლებელია განსაკუთრებით იქ, სადაც კომ ორგანიზაცია სუსტია მაგრამ იქ, სადაც პარტიას ასე ვთქვათ წინამძღოლის ქუდიც დახურული აქვს თავზე, სადაც ის მენშევიკების სასტიკ ტერორის დროსაც გაბედულად მუშაობდა და ახერხებდა თავის რევოლუციონური პოზიცია განემტკიცებინა ხალხის ფართო მასებში, დღეს „კოლეონორას“ მტკიცებით გამოდის, რომ მას თავზე დაჯდომია ალმასკომის თავმჯდომარე დიქტატორათ და როგორც სურს ისე ატრიალებს ყველაფერს, ხოლო ამ დროს პარტიული კომიტეტი წყალს იგუბებს პირში, და გულ ხელ დაკრეფილი შესცქერის ასეთ მდგომარეობას.

მართალია ეს? სრულებითაც არა ყოველ შემთხვევაში ლანჩხუთის შესახებ „კოლეონორას“ წერილის წამკითხველ ამხანაგებს განცვიფრებაში მოიყვანს რამდენიც ამ წერილს კითხულობენ. „კოლეონორა“ სწერს საბჭოს კრება ორჯერაც არ მოწვეულაო, ეს არ არის მართალი საბჭოს კრება მოწვეულია 9 ჯერ, შემდგარა 6 ჯერ. 9-და 2-ს შორის დიდი განსხვავებაა. „ალმასკომი არავითარ კავშირს არ იჭერს პასუხისმგებელ ამხანაგებთან და არც საბჭოსთანო“. ეს ფრაზა თავიდან ბოლომდე სიცრუეა და ცილის წამებაა. პირიქით პასუხისმგებელ ამხანაგებთან ასეთი კავშირი ჯერ არ ყოფილა ისე მჭიდრო, როგორც არის დღეს, შემდეგ „კოლეონორა“ განაგრძობს, რომ ალმასკომის თავმჯდომარის დიქტატორობის გამო არაფერი არ კეთდება საბჭოთა აღმშენებლობის დარგშიო“. მაშ როდის ჩაიყარა საფუძველი სახალხო სახლს ფაქტიურად? ვინ მუშაობს ამაზე დაუღალავად თუ არა ჩვენი „დიქტატორი“ ალმასკომის თავმჯდომარე. ვინ გააკეთა და ამუშავა სახერხი ქარხანა ლანჩხუთში? ცხადია ისევ ჩვენმა „დიქტატორმა“ თავმჯდომარემ. გზებზედ, ხიდებზე და სხვა ასეთებზედ ხომ ლაპარაკიც მეტია, რომელიც მრავლათ კეთდება ჩვენში. მაშ რაშია საქმე? რომ გაიძულეთ რედაქციისათვის ასეთი ყალბი ცნობა მიგეწოდებინათ და შეცდომაში შეგეყვანა? თქვენ უნდა დაამტკიცოთ შემდეგი 1. რომ საბჭოს კრება მართლაც ორის მეტი არ მოწვეულა; 2 კომიტეტის დადგენილებები ალმასკომის თავმჯდომარის თავის „დიქტატორობით“ სისრულეში არ მოჰყავდა; 3. თავმჯდომარე არავითარ ანგარიშს არ უწევს პასუხისმგებელ ამხანაგებს; 4. ალმასკომის თავმჯდომარის დიქტატორობის გამო ხალხი ჩამოსცილდა საბჭოთა ხელისუფლებას და არავითარ აღმშენებლობას არ აწარმოებს. ჩვენ მოვითხოვთ ამ კონკრეტიულ ბრალდებების ფაქტებით დამტკიცებას წინააღმდეგ შემთხვევაში. როგორც ყალბი ცნობების მიმწოდებლის თქვენი საქმე გადაეცემა საკონტროლო კომსიას.

ამხანაგების მინდობილობით საბჭოს წევრი: კ. ზარამიძე.

ონი

სამ დეკემბერს მოხდა სამაზრო საბჭოების ყრილობა. მიუხედავათ ცივ და მეტად ცუდ ამინდისა (თოვა, წვიმა, ქარბუქი, უგზოობა და სხვა) სოფლიდან არჩეულმა დელეგატებმა ორი სამი დღის წინეთ იწყეს ჩამოსვლა.

3 დეკემბერს ყველა დელეგატები ადგილზე იყვნენ. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, არც ერთი სოფელი, რომ არ გამოეგზავნოს დელეგატი. დიდი დარბაზი, სადაც გაიხსნა ყრილობა, გაჭედილი იყო ხალხით, თვით დარბაზი და მისი არემარე შემკულ-მორთული იყო გირლიანდებით, ბაირაღებით, დროშებით და წითელი მატერიით.

ზუსტ 12 საათზე კრება გახსნა ალმასკომის თავმჯდომარემ, რომელმაც მოკლეთ განუმარტა დამსწრეთ ყრილობის მნიშვნელობა. საპატიო თავმჯდომარეებად იქნენ არჩეული ლენინი, ჯუღაშვილი, მიხ. ცხაკაია და მახარაძე. პრეზიდიუმში აირჩიეს ერთხმად იმ სიით, რომელიც იყო წაყენებული კომფრაქციის მიერ. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელმა ტრაპაიძემ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე, ვრცლათ შეეხო ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხს და განუმარტა დელეგატებს ამ ფედერაციის მნიშვნელობა. ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღიარებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის აუცილებლობას და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის საჭიროებას. ყრილობა ფიცს სდებს, რომ ყოველ ღონით დაიცვას რევოლიუციის მონაპოვართა და სალამს უგზავნის ამხ. ლენინს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს

შემდეგ იქნა გაკეთებული მოკლე მოხსენება ალმასკომის მუშაობაზე თუ რა გააკეთა მან და რა პერსპექტივები აქვს მას დასახული.

მოხსენების შემდეგ პროვინციიდან მოსულ დელეგატებმა მისცეს შეკითხვები ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებზედაც მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

დასასრულ არჩეულ იქნენ დელეგატები ბაქოში გასამგზავრებლათ, ამიერ-კავკ. საბჭ. ყრილობაზე დასასწრებლათ შემდეგი ამხანაგები: ტოროშელიძე, თოდრია სილ., კობახიძე აკაკი, წულუკიძე, მესხი და ჭელიძე.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

Z.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სავალდებულო დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

საქონლის გადამალვისა და სპეკულიაციის წინააღმდეგ.

ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს შემჩნეულია, რომ ბევრი სხვა და სხვა ჯურის, როგორც კერძო პირი, ისე ზოგიერთი სავაჭრო ხასიათის დაწესებულება, განზრახ, სპეკულიაციისა, საქონლის ფასის ხელოვნურად გადიდებისა და ქართული ბონების ღირებულების დაცემის მიზნით და საზოგადოებაში უსაფუძვლო პანიკის შესაქმნელად, მიმართავენ ხოლმე ისეთ ზომებს, რომლების დაშვება შეუძლებელია მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს, ამიტომ ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, რომელსაც დავალებული აქვს ასეთ მოვლენებთან ბრძოლა ყველას საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ აცხადებს შემდეგ სავალდებულო დადგენილებას:

1. ის ვაჭრები, რომლებიც ურთიერთ შორის შეთანხმებით, ან გაფიცვით, ან ბოროტის განზრახვით, საქონლის ბაზარზე გამოუტანლობით, ან გადამალვით, ან სხვა გვარი ხერხით ხელოვნურად გაადიდებს ფასებს საქონელზე, ან და შეცდებიან ფასების გადიდებას, დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით და სასპეკულიაციო საქონლის კონფისკაციით.

შენიშვნა 1: ეს მუხლი ვრცელდება იმ მოქალაქეებზედაც, რომლებიც აწარმოებენ ვაჭრობას გარეშე განსაზღვრული სავაჭრო დაწესებულებისა.

შენიშვნა 2: იმ შემთხვევებში, როცა ამ მუხლში აღნიშნული ფასების გადიდება შეეხება პირველ საჭიროების საგნებს დამნაშავე დაისჯება, [illegible] გარდა თავისუფლების აღკვეთისა, მთელი ქონების კონფისკაციით.

2. ისეთივე სასჯელით დაისჯებიან ისინი, ვინც დაარღვევენ იმ წესებს, რომლებიც არსებობენ სავალუტო საქონლის, ან და ვალიუტის შესახებ და გათვალისწინებულია სახალხო კომისართა საბჭოს მე 89 დადგენილებაში.

3 ქალაქ ტფილისის და მთელი რესპუბლიკის მილიციას ევალება, დაუყონებლივ შეუდგეს ამ სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანას და ყველა მილიციის უფროსს პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ ეკისრება, ხელმძღვანელობა და [illegible] ამ დარგში.

4. მილიციას ეკისრება ყველა, ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოახდინოს საჭირო გამოკვლევა ძიება, რომლის ოქმი სამი დღის განმავლობაში, მილიციის უფროსის საშუალებით უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს.

5. ეს დადგენილება ძალაში შედის ამა წლის 21 დეკემბრიდან.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი გეგეჭკორი.
საქმეთა მართ. დ. ჩიქოვანი.

ცირკულიარული წერილი.

რესპუბლიკის ყველა დამზღვევ კასებს.

დაზღვევის ფონდების პირდაპირი დანიშნულებისამებრ დახარჯვის წესის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის დამზღვევ საბჭოს მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი დამზღვევი კასები ხარჯავენ დაზღვევის ფონდებს სხვა მიზნებისათვის: აძლევენ ამ თანხიდან სესხებს სხვა და სხვათა პირთა და დაწესებულებებს და აგრეთვე ამ თანხებს ხარჯავენ საქონლის [illegible], რითაც აორკეცებენ დაზღვეულთა: ავადმყოფთა, ინვალიდთა, ქვრივთა, ობოლთა და უმუშევართა ისედაც კრიტიკულ მდგომარეობას.

დამზღვევი საბჭო თანახმად საკავშირო საბჭოს 24 დეკემბ. დეკრეტის მე-4 მუხლისა: „დაქირავებ შრომით მცხოვრებ პირთა სოციალურ დაზღვევის შესახებ“, რომლის ძალითაც დასაზღვევი ფონდები, გადადებულია მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ დაზღვევის საჭიროებისათვის, და არ შეიძლება მოხმარდეს სხვა რაიმე საჭიროებას,—წინადადებას გაძლევთ:

1. მტკიცედ დაიცვათ ხსენებული დეკრეტის მე-4-ე მუხლი.

2. არავითარ შემთხვევაში არ დახარჯოთ დამზღვევი ფონდები სხვა საჭიროებისათვის.

3 დაუყოვნებლივ აცნობოთ დამზღვევ საბჭოს დეკრეტის ყოველგვარ დარღვევის შესახებ, რასაც დღემდის ქონდა ადგილი.

4. ის პირნი, რომელნიც შემჩნეულნი იქნებიან ამა ცირკულიარის დარღვევაში პასუხისგებაში იქნებიან მიცემული და მათი მოქმედებისათვის ისინი დაისჯებიან ისე, როგორც დახმარებით ბოროტ მოქმედებისათვის.

დამზღვევ საბჭოს თავმჯდომარე—იაშვილი.
მდივანი—თელია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი კვირას, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პრ. № 22, მესამე სართული) იწვევს შეფების და ქალაქ თბილისის ცალკე სამხედრო ნაწილების (თითო წარმომადგენელი თვითეულ შეფიდან და ნაწილიდან) წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომას.

სავალდებულოა შეფების და ნაწილების წარმომადგენელთა დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: კახიანი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-სტატისტიკური ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ა. პასეჩნოს გამოცხადდეს აღრიცხვა-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში დაკარგულ დოკუმენტების მისაღებად.

— ქალთა განყოფილების ორგანიზატორების საერთო—ქალაქის თათბირი, რომელიც დანიშნული იყო ოთხშაბათისათვის, შესდგება შაბათს 23 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე.

პარტიულები მოვალენი არიან გამოცხადდენ პარტიული დისციპლინის წესით, ხოლო უპარტიოები პროფესიონალურის.

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე: დადიანი.

პროფესიონალური

— განათლების მუშაკთა კავშირი ამით გაცნობებთ, რომ ა. წ. 20 დეკემბრიდან 27-დე არის რეგისტრაცია ყველა სკოლის გარეშე მომუშავე პირთა, როგორც ეხლა, ისევე წარსულში (მუზეუმები, ბიბლიოთეკები, უცოდინართა ლიკვიდაცია და პირველი საფეხურის სკოლა). რეგისტრაცია სწარმოებს ყოველ დღე კავშირის ბინაზე (მუშ. სასახლე, ოთახი № 36 ამხ. მეგრელიძესთან).

განცხადებები

გულმოკლულნი დედა ელენა და ძმა ერასტო ჩიგოგიძეები ამით უწყებენ ყველა ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ერთად ერთი იმედის მეთერთმეტე ტეხნიკუმის მეექვსე კლასის მოწაფის

შუშანიკის (შურა)

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაცვალებას. რომელიც მოხდა 20 დეკემბერს საღამოს 5 საათზე. მიცვალებული გამოსვენებულ იქნება ლოლუკინის ქუჩიდან № 4, ვერაში, ხიდისთავის თემის [illegible]. 704 1—1

ღრმათ დამწუხრებული ევტიხი და გოგუცა, ალექსანდრე, კარინე, ვასილი და ნინა, გაბრიელ და შურა ჩიგოგიძეები ცრემლ შეუწყვეტლივ ვსტირით და ვგლოვობთ უდროვოთ დაკარგულის ძვირფასი ბიძაშვილის. მეთერთმეტე ტეხნიკუმის მეექვსე კლასის მოწაფის

შუშანიკა (შურა) ერასტოს ასულის

ჩიგოგიძის

უდროოთ დაკარგვას. (704—1—1)

თავზარ დაცემული დედა ოსანა, ცოლი ვასასი, დები: ციცუ, ნინა, საშა ლიზა, შვილები: ვასიკო, ელიზა, შულურა და სიძე აკაკი ბაქრაძე ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს უდროოთ გადაცვალებას 21 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ

გედეონ ვლასის ძე დარახველიძის

პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ სახლში ვოლოდეევის ქ-ჩა № 28. დაკრძალვის დღე [illegible] იქნება (703—1—1)

დამწუხრებულნი ალექსანდრა ალექსანდრეს ასული და მეუღლე გერმანე გიორგაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი—მეუღლის ხოლო მეორე—შვილის

გიორგი გერმანეს-ძე

გიორგაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ბინაზე: განოვის ქუჩა № 3 ბინა № 9. გამოსვენება ცხედრისა მოხდება კვირას 24 დეკემბერს, დილის 9 საათზე, ბინიდან ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა წირვის შემდეგ ვერის სასაფლაოზე. № 709—3—1

ფინანსთა სახალხო კომ. სარიატის მუშა-მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს თანამშრომლებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას 10 დეკემბერს ბოროტ-განზრახველების მიერ [illegible] მახლობლათ ვერაგულათ მოკლულ კავშირის წევრ-ის მე-7 ე საგადასახადო ინსპექტურის გამგეს

გიორგი გერმანეს ძე

გიორგაძის

დაკრძალვა მოხდება 24 დეკემბერს კვირას დილის 10 საათზე განოვის ქუჩიდან № 3 ვერის საფლაოზე. (702—3—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 22 დეკემბერს

ტოსკა

დასაწყისი ზუსტ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(ცრ. 768—1—1)

სახალხო სახლი

დღეს 22 დეკემბერს

მეორეთ ამ სეზონში ნ. გერგესელის ახალი ორიგინალური პიესა

„დამზრალი წალკოტი“

(ცრ. 701—1—1)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ.
ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული
საქართველოში,

თანახმად ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს აწ. 16 დეკემბრის განკარგულებისა, ამით

საყოველთაოთ

აცხადებს

რომ რ. ს. ფ. ს. რ. ანგარიშ გასასწორებელ ნიშნების და ვალდებულებების, რომელთაც ეკარგებათ ძალა 1923 წ. 1 იანვრიდან, მიღების და გადაცვლის ვადა გაგრძელებულია 1923 წ. 31 იანვრამდე.

ფინანსკომის რწმუნებული საქართველოში ბ. ხიზანიშვილი.

765 (3—2)

დედებო!

სამშობიარო სახლიდან გამოსვლის შემდეგ ძუძუ მწოვარა ბავშვთა აღზრდის შესახებ რჩევა-დახმარებისათვის მიმართეთ ქვემო ჩამოთვლილ კონსულტაციებში:

1. ვერის—ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში.
2. მიხაილოვის—რეუტოვის და ნიკოლოზ. ქ კუთ. 43.
3. სადგურის—სადგურის ქ 8, ენფიანჯ. თამბაქ. ქარხ.
4. ორთ ჭალის—ვორონცოვის ქ. ადელხან. ქარხ.
5. ავლაბრის—მეტეხის ქ № 10.

(761 5—2) მედიცინის ექიმი შენგელიძე.

სახლი

განმარტოებულათ მდგარი და თავისუფალ ბინით, ვისაც უნდა იყიდოს ან გაყიდოს უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩა № 3, ბინა № 2, რუსთველის პროსპ. გვერდით 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე

691—12—2

დოქტორი **გ. მეგრაბიანცი**

[illegible] ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა

შინაგანი ტკივილების—ფილტვის და გულის ავ-ნ სპეც. წამლობა მალარ შაშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი

იღებს 9—12 ს დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23 (634 25—1

თბილისის მე-9 რაიონის სახალხო მოსამართ

იწვევს სახალხო სასამართლოში ტურგენევის ქ № 4, ბარბარე [illegible] ასულ შაფურიშვილს რათა გამოცხადდეს იგი ხსენებულ სასამართლოში თვის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან წარმოსადგენად [illegible] საქმეზედ, რომელიც აღძრულია სასამართლოში მოქალაქე დავით გიორგის ძე ქურდღელაშვილის მიერ განქორწინების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში უწყება მისი ბარბარე შაფურიშვილის სახელზედ დატოვებული სასამართლოს კანცელარიაში ჩაითვლება ჩაბარებულად და საქმე არსებით განხილულ იქნება სასამართლოს მიერ.

რ. ს. ფ. ს. რ. ს. მ. შ. ს.

სრულიად რუსეთის

ამხანაგობა

„მატყლი“

დარსებული რ. ს. ფ. ს. რ. მატყლის დამუშავებელი მრეწველობის

სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა და ავტონომიურ ფაბრიკების მიერ.

(გამგეობა—მოსკოვი, ვარვარკა „დელოვოი დვორი“ 5 შესასვლელი კარები მე-3 სართული)

ძირითადი თანხა—10.000.000 მანეთი (ოქროთი)

ღებულობს

განუსაზღვრელი რაოდენობით

საწარმოო მატყლს

ნაღდი ანგარიშით ან მატყლის და ბამბის მანუფაქტურაზე გადაცვლით: (ნარმა, ჩითი, მიტკალი და სხვ.)

კანტორები:

აზერბეიჯანი-ბაქო
მთიულეთის რესპ.
ნალჩიკი
ასტრახანი
ცარიცინი
სარატოვი
ორენბურგი

ტფილისი „გრუზშერსტ“-ი
(გოლოვინის პროსპ.
სასურსათო სახ. კომისარ.
შენობა ოთახი № 11)

როსტოვი-დონი
ხარკოვი
უფა
ეკატერინბურგი
ტაშკენტი
სევასტოპოლი
ბუხარა
მონგოლია-ურგა

სრულიად რუსეთის

ამხანაგობა

„მატყლის“

რწმუნებული

ქალ. ტფილისში—ოტელ „ნოე“ № 92; მიღება სწარმოებს საღამოს 5—7-მდე.

(3—2)

ტირაჟი 10,000 ხ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო [illegible] სტამბა [illegible] ქ. № 4.